თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის ა ნ გ ა რ ი შ ი

2023 წელი

შესავალი

მოგესალმებით,

წარმოგიდგენთ ანგარიშს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და მერიის მიერ დაფუძნებული ა(ა) იპ -ების მიერ 2023 წელს ჩემი ხელმძღვანელობის პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით ვეცდები სრულყოფილად შევეხო თუ რა სამუშაოები გავწიეთ და რა სახის პროექტები განვახორციელეთ. ასევე, რა ხედვები გვაქვს ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებისა და პოტენციალის გაზრდის თვალსაზრისით.

საჯარო ანგარიშის შემუშავების პროცედურები ეყრდნობა ეფექტური მმართველობის პრიციპებს, რაც გულისხმობს სტრატეგიული პრიორიტეტებისა და დასახული მიზნის მიღწევის მიზნით მუნიციპალიტეტის მერის მიერ მოქალაქეებთან მჭიდრო კონტაქტში არსებული რესურსების პასუხისმგებლობითა და ანგარიშვალდებულად გამოყენებასა და ამ საქმიანობის თანმდევი რისკების მართვას.

შევეცადე შესაძლებლობის ფარგლებში მოკლედ წარმომედგინა 2023 წელს განხორციელებული საქმიანობა.

ვფიქრობ, ერთმანეთის გვერდში დგომით და მონდომებით ბევრი პროექტი და პროგრამა განხორციელდება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებას და გაუმჯობესდება ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

- ✓ **ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები**:

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია“, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

- ✓ **ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა**

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმაა მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა.

- ✓ **მერის ანგარიში შედგენილია**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილებების საფუძველზე;

- ✓ **საჯარო ანგარიშში განხილულ საკითხთა სტრუქტურა:**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წლიური საჯარო ანგარიში, დადგენილ პრინციპებზე დაყრდნობითა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერის უფლება-მოვალეობებიდან გამომდინარე მოიცავს სავალდებულო შემდეგ საკითხებს:

- **მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი;**
- **ინფრასტრუქტურის განვითარება;**
- **განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის განვითარების ხელშეწყობა;**
- **ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფის ხელშეწყობა;**
- **ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის მიმართულება;**
- **იურიდიული მიმართულება;**
- **ზედამხედველობის მიმართულება;**
- **შიდა აუდიტისა და ინსპექტირების მიმართულება;**
- **დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მიმართულება;**
- **სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის მიმართულება;**
- **მერიის მიერ დაფუძნებული ა(ა) იპ -საქმიანობას;**

➢ **თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია**

მერია თავის საქმიანობას ხელმძღვანელობს კანონიერების, საჯაროობის, კოლეგიალობის, ადამიანის უფლება-თავისუფლებათა დაცვის პრინციპებით, მუშაობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებით და სხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ახორციელებს მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებულ კულტურულ, საგანმანათლებლო, სპორტულ, სოციალურ, ჯანდაცვის და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამებსა და პროექტებს. დასახელებული პროექტების ნაწილი მოკლე ვადაში განხორციელებადია, ზოგიერთი მათგანი კი მოიცავს ეტაპებს და შესაბამისად გაწერილია გრძელვადიან გეგმაში.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებები ითვალისწინებს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ეკონომიკური განვითარებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნას,

მოსახლეობის სოციალური და ჯანდაცვის მდგომარეობის გაუმჯობესებას, განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარებას.

მერიის მიზანია ქალაქის განვითარების პარალელურად ადმინისტრაციულ ერთეულებში, სოფლებში ინფრასტრუქტურის განვითარება, შესაბამისი მიკრო გარემოსა და სერვისების შექმნა.

- **აღნიშნული მიზნების მისაღწევად განხორციელდა შემდეგი აქტივობები:**

✓ **მუნიციპალუტეტის ბიუჯეტი**

მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, საერთო და ინდივიდუალურ საჭიროებათა მაქსიმალურად უზრუნველყოფისა და მუნიციპალიტეტის პროირიტეტების სრულად განხორციელებისათვის უმნიშვნელოვანესია ფინანსური და მატერიალური ბაზის ზრდა და განმტკიცება, რაც მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ადგილობრივი ბიუჯეტის მოცულობაზე.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2022 წლის 20 დეკემბრის N27 დადგენილებით 16 500 000 ლარის ოდენობით.

2023 წლის 1 იანვრისათვის ნაშთი შეადგენდა 3 713 900 ლარს. მათ შორის: **ადგილობრივი შემოსავლები** 880 400 ლარს და **ცენტრალური ბიუჯეტიდან გრანტების** (კაპიტალური ტრანსფერის) სახით მიღებული შემოსავალი 2 833 500 ლარს.

2023 წლის თერთმეტ თვეში ბიუჯეტის **ცვლილება 19-ჯერ განხორციელდა.** ბიუჯეტის მთლიანი საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა **31 643 300 ლარით.**

2023 წლის თერთმეტ თვეში **ფაქტიური შემოსულობები** შეადგენს 28 075 200 ლარს, ხოლო **ფაქტიური გადასახდელები**- 26 975 000 ლარს შეადგენს. 2023 წლის 1 დეკემბრისათვის **ნაშთი** დარჩა -1 100 200 ლარი.

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა განისაზღვრა 31 643 300 ლარის ოდენობით. მათ შორის: **საგადასახადო** შემოსავლები- 15 227 600 ლარით, **გრანტები - 10 586 800** ლარის ოდენობით, **არასაგადასახადო შემოსავლები** -1 635 000 ლარით და **შემოსავლები არაფინანსური აქტივების** (კაპიტალური შემოსავლების) სახით- 480 000 ლარის ოდენობით.

საგადასახადო შემოსავლები.

მთლიან შემოსავლებში (31 643 300 ლარი) უშუალოდ, **საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილი** 48.1%–ს, ანუ 15 227 600 ლარს შეადგენს. მათ შორის: **ქონების გადასახადი** - 2 300 000 ლარი (აქედან: საქართველოს საწარმოთა

ქონება - 1 880 000 ლარი, **ფიზიკურ პირთა ქონება** - 20 000 ლარი, **სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე** -70 000 ლარი და **არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი** - 330000 ლარი), **დამატებული ღირებულების** გადასახადი - 12 927 600 ლარი.

საგადასახადო შემოსავლების წლიური გეგმა თერთმეტ თვეში შესრულებულია 94,6%-ით 14 410 700 ლარით.

გრანტები.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიანი შემოსულობების გეგმაში (31 643 300 ლარი) ცენტრალური ბიუჯეტიდან მისაღები **გრანტების** (ტრანსფერების) ხვედრითი წილი 33.4 %–ს, ანუ 10 586 800 ლარს შეადგენს **(მიზნობრივი ტრანსფერი – 1 873 700 ლარი. ფინანსური დახმარება** 1 500 000 ლარი. **სოფლის პროგრამები** 690-000 ლარი. **სკოლის რეაბილიტაცია** 196-700 ლარი. **რგფ 4 861 400 ლარი. სტიქია** -970-000 ლარი და სხვა კაპიტალური გრანტი 495000 ლარი).

გრანტების წლიური გეგმა თერთმეტ თვეში შესრულებულია 78,0%-ით 8 263 300 ლარით.

სხვა შემოსავლები.

შემოსავლების მნიშვნელოვანი წყაროა ასევე სხვა **შემოსავლები**, რომელიც დაგეგმილია - 1 635 000 ლარით, მისი ხვედრითი წილია 5.6%. მათ შორის: **პროცენტები განსაზღვრულია** - 90 000 ლარი, **მოსაკრებელი ბუნებრივი** რესურსებით სარგებლობისათვის - 388000 ლარი, **შემოსავალი მიწის იჯარიდან** დაგეგმილია 20 000 ლარი. **სანებართვო მოსაკრებელი** - 35 000 ლარი; **ადგილობრივი მოსაკრებელი** დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 188 000 ლარი, **შემოსავალი მომსახურეობის** გაწევიდან - 15 600 ლარი, **ჯარიმები, სანქციები და საურავები** - 869 000 ლარი, **შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული** შემოსავლები - 30 000 ლარი.

სხვა შემოსავლების წლიური გეგმა თერთმეტ თვეში შესრულებულია 87,5%-ით 1 430 800 ლარით.

არაფინანსური აქტივები.

არაფინანსური აქტივების კლება დაგეგმილია -480 000 ლარით, რომლის ხვედრითი წილია 1.5%. აქედან ძირითადი აქტივები -200 000 ლარი და არაწარმოებული აქტივები - 280 000 ლარი.

არაფინანსური აქტივების წლიური გეგმა თერთმეტ თვეში შესრულებულია 53,4%-ით 256 200 ლარით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2023 წლის **გადასახდელების** საგასავლო ნაწილი დაგეგმილია – 31 643 300 ლარით. წლიური გეგმა თერთმეტ თვეში შესრულებულია 85,2%-ით 26 975 000 ლარით.

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის მიდინარე წლის გადასახდელების საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურეობა **აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა** დაფინანსდა -4 948 600 ლარით.

- **თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო** - 927000 ლარით.
- **თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია** - 3 615 000 ლარით,
- **სარეზერვო ფონდი** - 100 000 ლარით.
- წინა წლებში წარმოქმნილი **ვალდებულებების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა** -1000 ლარით.
- **მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა** - 90 000 ლარით.
- **კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი** - 10 000 ლარი.
- **გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა** -5 000 ლარი.

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურეობა აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის წლიური გეგმა თერთმეტ თვეში შესრულებულია 87.0%-ით 4 306 600 ლარით.

თავდაცვის ხარჯები დაფინანსდება – 200000 ლარით.

თავდაცვის ხარჯის წლიური გეგმა თერთმეტ თვეში შესრულებულია 86,5%-ით 172900 ლარით.

ინფრასტრუქტურის განვითარება დაფინანსდება - 11 075 900 ლარი; მათ შორის:

- **გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი დაიგეგმა** - 3 917 300 ლარით.
- **წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაფინანსდა** -1 837 800 ლარით.
- **გარე განათების რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის** ხარჯი დაფინანსდა -466 000 ლარით.
- **კომუნალური მეურნეობის განვითარება** დაფინანსდა -3 698 100 ლარით.
- **სოფლის პროგრამები დაფინანსდა-** 740 000 ლარი.
- **საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა** და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება დაფინანსდა -416 700 ლარით.

ინფრასტრუქტურის განვითარების წლიური გეგმა თერთმეტ თვეში შესრულებულია 75,4%-ით 8 348 400 ლარით.

გარემოს დაცვა (თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური) დაფინანსდა 3 615 000 ლარით.

გარემოს გაცვის წლიური გეგმა თერთმეტ თვეში შესრულებულია 90,2%-ით 3 262 300 ლარით.

განათლების ხარჯი დაფინანსდა – 7 988 800 ლარით, მათ შორის:

- **სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების** მართვა (ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი"-ს) დაფინანსდა -141 000 ლარით;
- **სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები დაფინანსდა** -4 600 000 ლარით.
- **სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია და მშენებლობა** დაფინანსდა - 1 197 400 ლარით.
- **საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება დაფინანსდა-** 1 710 400 ლარით.
- **მოსწავლეთა ტრანსპორტირება** დაფინანსდა -1 513 700 ლარით და ინფრასტრუქტურის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები 196 700 ლარით.
- **სკოლისგარეშე განათლება (ა(ა)იპ ,,მოსწავლე ახალგაზრდობის მუნიციპალური** ცენტრი"-ს) დაფინანსდა -340 000 ლარით.

განათლების წლიური გეგმა თერთმეტ თვეში შესრულებულია 91.2%-ით 7 288 500 ლარით.

დასვენება, კულტურა და რელიგია დაფინანსდება - 2 300 000 ლარით: მათ შორის:

- **მომსახურეობა დასვენებისა და სპორტის სფეროში დაფინანსდება –** 808 000 ლარით. სპორტული ღონისძიებები დაფინანსება -35 000 ლარით.
  - **სპორტული სკოლა (ა(ა)იპ ,,თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი") დაფინანსდა** -765 000 ლარით.
  - **სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (ა(ა)იპ ,,თერჯოლის სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრი") დაფინანსდა** -267 000 ლარით
  - **სახელოვნებო სკოლები** -273 000 ლარით.
  - **ბიბლიოთეკები დაფინანსდა** -211 000 ლარით.
  - **კულტურის სახლების დაფინანსდა** -455 000 ლარით.
  - **მუზეუმების დაფინანსდა ა** -88 000 ლარით.
  - **ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსდა** - 50 000 ლარი;
  - **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა** -80 000 ლარი.
  - **საგამომცემლო საქმიანობა დაფინანსდა** – 68 000 ლარი

დასვენება, კულტურა და რელიგიის წლიური გეგმა თერთმეტ თვეში შესრულებულია 89,8%-ით 2 066 300 ლარით.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა -1 715 000 ლარი, მათ შორის:

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება** (ა(ა)იპ ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“) დაფინანსდა - 160000 ლარი.
- **სოციალური დაცვა დაფინანსდა** -1 555 000 ლარით.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის წლიური გეგმა თერთმეტ თვეში შესრულებულია 99.3%-ით 1 702 900 ლარით.

2023 წლის ბიუჯეტის **სარეზერვო ფონდის მოცულობა განსაზღვრულია** 100000 ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა ხდება მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თანხის რაოდენობისა და მიზნობრიობის მითითებით. 2023 წლის თერთმეტ თვეში ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის საკასო ხარჯმა 93 800 ლარი შეადგინა.

კრედიტორული დავალიანება არის 98 000 ლარი, ხოლო **დებიტორული დავალიანება** -170 900 ლარი. ასევე **გრძელვადიანი ვალდებულება** არის - 2 500 ლარი.

,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2475 განკარგულებით თერჯოლის მუნიციპალიტეტს გამოეყო 4 558 400 ლარი. რომლითაც დაფინანსდა შემდეგი პროექტები:

თერჯოლა-ღვანკითის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია- 472 100 ლარი.

სოფ. თავასა-თუზის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია- 281 700 ლარი.

ავტობანიდან ბარდუბნის ადმინისტრაციულ ერთეულამდე მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - 260 700 ლარი.

სოფელ კვახჭირში ცენტრალური საავტომობილო გზის რეაბილიტაცია-266 000 ლარი.

სოფ. გოდოგანში საავტომობილო გზის და საყრდენი კედლების მოწყობა / რეაბილიტაცია- 264 600 ლარი.

სოფ. ქვ. ალისუბანი ზედა ალისუბნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - 263 200 ლარი.

ძევრი ჩხარი-ეწერთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია-177 200 ლარი.

ჭალასთავთან დამაკავშირებლი გზის რეაბილიტაცია- 200 000 ლარი.

სოფ. თავასა-თუზის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია- 196 600 ლარი.

ქ. **თერჯოლაში სულხან-საბა ორბელიანის ქუჩაზე არსებული გზის რეაბილიტაცია**- 200 200 ლარი.

სოფ. გოდოგანში ჭიჭინაძეების უბანთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია- 246 200 ლარი.

ქ. თერჯოლაში ვაჟა-ფშაველას მე-6 შესახვევში არსებული გზის რეაბილიტაცია- 95 000 ლარი.

სოფ. გოდოგანში ხორხის უბანში მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები- 98 800 ლარი.

ქ. თერჯოლაში არსებული მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დარბაზის სარემონტო სამუშაოები 100 000 ლარი.

სოფ. ახალთერჯოლაში სასმელი წყლის ქსელის მშენებლობა- 866 000 ლარი და **სოფ. ჩხარის ცენტრალურ წყალსადენში წყლის დებეტის გაზრდის მიზნით სათავე რეზერვუარისა და მიმწოდებელი მაგისტრალის მოწყობის სამუშაობი** - 555200 ლარი.

თერთმეტ თვეში შესრულებულია სამუშაოები 67,2%-ით 3 065 500 ლარით.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 ოქტომბრის N1840 განკარგულებით თერჯოლის მუნიციპალიტეტს გამოეყო 180 300 ლარი, რომლითაც დაფინანსდა **ავარიული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი.**

2021-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროექტების ფონდიდან მიმდინარე წელს დაფინანსდა ტურისტებისათვის ბუნების და მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარების ფარგლებში სოფელ **ძევრში საგვარჯილეს მღვიმეების მიმდებარედ** არსებული რეკრეაციული ზონის მოწყობა 1 200 000 ლარით და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება და მოდერნიზაციის მიზნით, **ქ.თერჯოლაში მერიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებული ღია ამფითეატრისა,** მის მიმდებარედ არსებული შენობა-ნაგებობების ფასადებისა და სკვერის მოწყობა-რეაბილიტაცია- 568 600 ლარით და **ქალაქ თერჯოლის მესამე საბავშვო ბაღის მშენებლობაზე მიმდინარე წელ**ს დაიხარჯა- 1 056 600 ლარი.

თერთმეტ თვეში შესრულებულია სამუშაოების 84.2%-ით 2 378 800 ლარით.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის N116 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისათვის თერჯოლის მუნიციპალიტეტს გამოეყო დაფინანსება- 970 000 ლარი.

თერთმეტ თვეში შესრულებულია სამუშაოები 64,0%-ით 620800 ლარით.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამებზე გამოყოფილია 690 000 ლარი. თერთმეტ თვეში შესრულებულია სამუშაოები 63,4%-ით 469 200 ლარით.

გარდა ფონდებიდან გამოყოფილი თანხებისა ადგილობრივი შემოსავლებიდან ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე გაიხარჯა 1 352 100 ლარი. თერთმეტ თვეში შესრულებულია სამუშაოები 95,3%-ით 1 289 100 ლარით.

- ✓ **ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური**

მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური არის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მერიის სამსახურების საქმისწარმოებას, მათ კომუნიკაციას ერთმანეთთან; ადამიანური რესურსების მართვის უზრუნველყოფას; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ურთიერთობის ორგანიზებას მოქალაქეებთან, იურიდიულ

პირებთან და სხვა გაერთიანებებთან, სახელმწიფო ორგანოებთან, სხვა თვითმმართველ ერთეულებთან; მერიის ოფიციალური ღონისძიებების დაგეგმვასა და ორგანიზებას.

ადმინისტრაციული სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, მერიის დებულების, ადმინისტრაციული სამსახურის დებულებისა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

სამსახურის სტრუქტურა

სამსახური შედგება სამსახურის უფროსის - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, მეორადი სტრუქტურული ერთეულებისაგან- განყოფილებებისაგან და მოხელეებისაგან.

სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულებია:

- საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება;
- მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება;
- შესყიდვების განყოფილება;
- ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება;

✓ **საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება**

საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება უზრუნველყოფს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის საქმისწარმოებას, ადამიანური რესურსების მართვას, შემოსული და ადგილზე შექმნილი დოკუმენტების აღრიცხვას, რეგისტრაციასა და ინდექსაციას.

2023 წლის მდგომარეობით თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში საქმისწარმოების ელექტრონულ msda - სისტემაში შემოსული და რეგისტრირებულია 26 160 კორესპოდენცია. აქედან ძირითადად მოქალაქეთა განცხადებებია, სადაც ითხოვენ ფინანსურ დახმარებებს, ოპერაციის თანხების დაფინანსებას, ავარიული და დაზიანებული სახლების შეკეთებას, უმწეოთა თავშესაფარს, მშენებლობა- ექსპლუატაციაში მიღების ნებართვებს და მიწის ნაკვეთის კატეგორიის ცვლილებებს. ყოველდღიურ რეჟიმში განყოფილება უზრუნველყოფს მოქალაქეთა კომუნიკაციას და კონსულტაციების გაწევას მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.

2023 წელს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსულია 173 განცხადება/წერილი, რომელსაც კანონით გათვალისწინებულ ვადებში გაეცა პასუხი. 2023 წლის მიხედვით განყოფილებას მომზადებული აქვს 967 სამართლებრივი აქტი - საჯარო მოსამსახურეთა წახალისება, დისციპლინური პასუხისმგებლობის შეფარდება,

სამსახურეობრივი მივლინება და შვებულების ბრძანებები. განყოფილება აწარმოებს ადამიანური რესურსების მართვის ავტორიზებულ სისტემას ehr.ge სადაც დაცულია თითოეული თანამშრომლის პერსონალური ინფორმაცია. განყოფილება ასევე მუშაობს მინიციპალიტეტის ვებ-გვერდზე „terjola.gov.ge " სადაც განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია. ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი ორ წელიწადში ერთხელ აქვეყნებს შედეგებს ვებ-გვერდის გამართულად მუშაობაზე და ინფორმაციის სრულყოფილად განთავსებაზე. 2023 წლის შედეგებით ჩვენი მუნიციპალიტეტი გავიდა 16- ე ადგილზე, როცა 2021 წელს 62-ე ადგილზე ვიყავით. საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებაში არის გენდერულ საკითხემზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას გენდერული თანასწორობის საკითხებში, შეიმუშავებს და გეგმავს ცალკეულ ღონისძიებებს გენდერული თანასწორობის მისაღწევად, ქალთა და მამაკაცთა თანასწორი უფლებების რეალიზაციისათვის.

- ✓ **ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება**

2020 წლის 1 სექტემბრიდან თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში საქმიანობას შეუდგა ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება. სტრუქტურული ერთეული ფუნქციონირებს შემდეგი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების საფუძველზე: საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი", „სოციალური მუშაობის შესახებ" საქართველოს კანონი, „თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის დებულება", თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის, ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის დებულება" და სხვ.

2023 წლის 1 დეკემბრის მონაცემებით, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკს საქმისწარმოების პირველი ეტაპისთვის საჭირო ყველა პროცედურა ჩატარებული აქვს 28 ოჯახთან. რაც გულისხმობს, მათ შესახებ მონაცემთა შეგროვებასა და ბავშვისა და ოჯახის მოწყვლადობის დაუცველობის ძირითადი ფაქტორების დადგენას. ამასთან, შეფასების ფორმის შევსებას (სკრინინგს), რომელიც წარმოებულია 80 ბავშვზე, აქედან 10 ბავშვზე შედგენილი ინდივიდუალური განვითარების გეგმა. გეგმაში გაწერილია სხვადასხვა აქტივობა ბავშვის განათლების და განვითარების კუთხით, ჯანმრთელობის დაცვის კუთხით, რომელშიც ჩართულია ჯანმრთელობის დაცვის სპეციალისტი და ფსიქოლოგი. ოჯახის გაძლიერებისა და მხარდაჭერის კუთხით ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებას 2023 წელს აქვს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების " პროგრამა, რომლის ბიუჯეტი 2023 წლის 14 თებერვლის Nგ-29. 29230453 განკარგულებით შეადგენდა 10000 (ათი ათასი) ლარს. პროგრამის ბიუჯეტი გაიზარდა 15 000 ლარამდე. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 20 ოჯახი. შეძენილ იქნა სხვადასხვა სახის ტექნიკა: კერძოდ, 7 სარეცხი მანქანა, 4 მაცივარი, 3 გაზქურა, 3 ბუნებრივ აირზე მომუშავე წყლის გამაცხელებელი, ტანსაცმელი და საკვები არასრულწლოვნებისთვის.

- ✓ **მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება**

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება ახორციელებს „თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის „ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების შესაბამისად (დადგენილება #8 2018 წლის 26 იანვარი) მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და ადმინისტრაციულ ერთეულებში:

- საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემის გამართულ ფუნქციონირებას.
- საოფისე ავეჯის. კომპიუტერების და სხვა ტექნიკის მოვლა-პატრონობას, რემონტსა და ტექნიკურ მომსახურებას.
- საკრებულოს მუნიციპალური სამსახურებისა ადმინისტრაციული ერთეულების საოფისე მასალებით მომარაგებას.
- საკრებულოს მუნიციპალური სამსახურებისა ადმინისტრაციული ერთეულების სარგებლობაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-პატრონობას, რემონტს და ტექნიკურ მომსახურებას.
- სატელეფონო და საწვავის ლიმიტების აღრიცხვა ანგარიშგებას.
- მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას.

- ✓ **შესყიდვების განყოფილება**

2023 წლის შესყიდვების განყოფილების მიერ გაფორმებულია 212 ხელშეკრულება. ჩატარდა 49 ტენდერი, მათ შორის ინფრასტრუქტურულ პროექტებზე 25 ტენდერი, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე 6 ტენდერი, სოციალურად დაუცველთათვის სურსათის შეძენაზე 3 ტენდერი.

გამარტივებული შესყიდვით გაფორმდა 163 ხელშეკრულება, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გაფორმდა 5 ხელშეკრულება. სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში 10 ხელშეკრულება. საპროექტო -სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაზე 5 ხელშეკრულება.

- ✓ **სივრცის მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახური**

სამსახურის სტრუქტურა

სამსახური შედგება სამსახურის უფროსის - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, მეორადი სტრუქტურული ერთეულებისაგან -განყოფილებებისაგან და მოხელეებისაგან.

- ✓ **სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულებია:**

ინფრასტრუქტურული განვითარების და კეთილმოწყობის განყოფილება

სივრცის მოწყობის და არქიტექტურის განყოფილება

- ✓ **ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროში.**

2023 წელს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რეგიონული განვითარების ფონდიდან, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, დასრულდა და მიმდინარეობს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები. აღნიშნული სამუშაოებისათვის რგფ-დან გამოყოფილია 4 543 417 ლარი, რომლის მეშვეობით განხორციელდა 15 პროექტი.

გზების რეაბილიტაცია:

- ✓ 2023 წელს დაიწყო **ქ. თერჯოლაში** კოსტავას ქ. N4-ში მდებარე შენობაში არსებული მოსწავლე-ახალგაზრდობის დარბაზის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები, პროექტი გარდამავალია და ღირებულება შეაგდენს 284 100 ლარს. პროექტის ფარგლებში მოეწყობა სცენა, განათება, შეიცვლება ინვენტარი, მოწესრიგდება სამუშაო და სასწავლო ოთახები, მოეწყობა სველი წერტილები, დამონტაჟდება გაგრილება-გათბობის სისტემა.

- ✓ დასრულდა **სოფ. ღვანკითი-თერჯოლას** დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, პროექტის ფარგლებში მოეწყო 2000 გრძ/მ ასფალტის საფარი, ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 895 833 ლარს. სამუშაოები დაიწყო 2022 წელს, დღეის მდგომრეობით სამუშაოები დასრულებულია.

- ✓ 2023 წელს დასრულდა **სოფ. თავასა-თუზის** დამაკავშირებელი საავტომობილო გზის 1800 მ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია არმირებული ბეტონის საფარით, მ/წ მე-2 და მე-3 ეტაპის სამუშაოების ჯამური ღირებულება შეადგენს 503 506 ლარს, დარჩენილი გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია დაგეგმილია მომავალ წელს.

- ✓ დასრულდა **სოფ. ბარდუბანში** ავტობანთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პირველი ეტაპის სამუშაოები, რომლის ფარგლებში მოეწყო რკინა-ბეტონის საფარი გზის 1000 მ-იან მონაკვეთზე, აღნიშნული სამუშაოებისათვის დაიხარჯა 274 400 ლარი.

- ✓ დასრულდა **სოფ. კვახჭირში** საავტომობილო გზის რეაბილიტაცია არმირებული ბეტონის საფარით, რისთვისაც გამოყოფილი იქნა 284 277 ლარი. პროექტის ფარგლებში მოეწყო 1000 გრძ/მ არმირებული ბეტონის საფარიანი საავტომობილო გზა და სანიაღვრე სისტემა.

- ✓ დასრულდა **სოფ. ქვედა და ზედა ალისუბნის** დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პირველი ეტაპის სამუშაოები, პროექტის ფარგლებში მოეწყო 1 კმ არმირებული ბეტონის საფარიანი გზა, სამუშაობის განხორციელებისათვის დაიხარჯა 277 0003 ლარი.

- ✓ დასრულდა **სოფ. გოდოგანში ჭიჭინაძეების უბანთან** დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პირველი და მეორე ეტაპის სამუშაოები, პროექტის ფარგლებში მოეწყო 2 კმ-მდე არმირებული ბეტონის საფარიანი გზა, სამუშაობის განხორციელებისათვის დაიხარჯა 485 499 ლარი.

- ✓ დასრულდა **სოფ. ძევრში ჩხარი -ეწერთან** დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პირველი ეტაპის სამუშაოები, პროექტის ფარგლებში მოეწყო 1 კმ-მდე ა/ბეტონის საფარიანი გზა, სამუშაობის განხორციელებისათვის დაიხარჯა 186 418 ლარი.

- ✓ 2023-2024 წლებში განხორციელდება **სოფ. ჭალასთავთან** დამაკავშირებელი საავტმობილო გზის სარეაბილიტაციოს სამუშაოები, რომლის პირველი ეტაპი დასრულებულია 1 კმ-მდე არმირებული ბეტონის საფარიანი გზა, სამუშაობის განხორციელებისათვის მ/წელს დაიხარჯა 200 000 ლარი, ხოლო სრული სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 387 700 ლარს.

- ✓ დასრულდა ქ. **თერჯოლაში ვაჟა-ფშაველას მე-6** შესახვევში საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პირველი ეტაპის სამუშაოები, პროექტის ფარგლებში მოეწყო 700 მ-მდე ა/ბეტონის საფარიანი გზა, სამუშაოების განხორციელებისათვის დაიხარჯა 98 432 ლარი.

- ✓ დასრულდა **ქ. თერჯოლაში სულხან-საბა ორბელიანის** საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პირველი ეტაპის სამუშაოები, პროექტის ფარგლებში მოეწყო 1300 მ-მდე ა/ბეტონის საფარიანი გზა, სამუშაოების განხორციელებისათვის დაიხარჯა 210 624 ლარი.

- ✓ დასრულდა **სოფ. გოდოგანში** ხორხის უბანთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პირველი ეტაპის სამუშაოები, პროექტის ფარგლებში მოეწყო 500 მ-მდე ა/ბეტონის საფარიანი გზა, სამუშაოების განხორციელებისათვის დაიხარჯა 103 954 ლარი.

წყალმომარაგება:

- ✓ 2021-2023 წელს მიმდინარეობს სოფ. ახალთერჯოლაში სასმელი წყლის ქსელის მოწყობის სამუშაოები, პროექტის ფარგლებში სასმელი წყალი მიეწოდება 530 ოჯახს, პროექტის ფარგლებში მოეწყო სატუმბი სადგური, მიმწოდებელი და დამცლელი მაგისტრალი, გამრიცხველიანება, საქლორატორო. სამუშაოები დასრულდება მიმდინარე წელს. სამუშაოების ღირებულება შეადგენს 2 138 227 ლარს.

- ✓ 2023 წელს დასრულდა სოფ. ჩხარში წყლის დებეტის გაზრდის მიზნით წყლის მიმწოდებელი სისისტემისა და სატუმბი სადგურის მშენებლობის სამუშაოები, პროექტის ფარგლებში ასევე მოხდა გამრიცხველიანება, სამუშაოების ჯამური ღირებულება შეადგენს 584 491 ლარს.

განათლება:

მიმდინარეობს ქ. თერჯოლაში მოსწავლე ახალგაზრდობის დარბაზის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის დასრულება დაგეგმილია 2024 წელს, მ/წ პროექტის განხორციელებისათვის დამოყოფილია 105 264 ლარი.

სტიქია

2023 წელს თერჯოლის მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების გატარების მიზნით, საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოიყო 970 000 ლარი, რომლის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა შემდეგ ობიექტებს:

- ❖ 2023 წლის იანვრის თვეში ძლიერი ქარის შედეგად ზიანი განიცადა როგორც კერძო მოსახლეობამ, ასევე მუნიციპალურ ბალანსზე არსებულმა ინფრასტრუქტურამ, კერძოდ ადმინისტრაციულ შენობებმა და საბავშვო ბაღებმა. აღნიშნული ზიანის აღმოფხვრის მიზნით საქართელოს მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხით მოხდა სამშენებლო მასალების შესყიდვა და მიწოდება, ხოლო მუნიციპალური ინფრასტრუქტურის და სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა.
- ❖ 2023 წლის თებერვლის თვეში მოსული უხვი ნალექი შედეგად (თოვლი) დაზიანდა 5 საცხოვრებელი სახლი, რომელთა სარეაბილტიაციო სამუშაოები განხორციელდა სტიქიის ფონდიდან გამოყოფილი თანხის შედეგად.
- ❖ ასევე სტიქიის შედეგად დაზიანდა ჩხარი-ზედა ალისუბნის დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე არსებული ხიდ-ბოგირი, რომლის აღდგენის მიზნით სამუშაოები მიმდინარეობს, რომელიც დასრულდება უახლოეს მომავალში.

- ✓ **ადგილობრივი ბიუჯეტი**

მუნიციპალიტეტმა მიმდინარე წელს ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით შეასრულა ადგილობრივი დანიშნულების ა/ბეტონის საფარიანი გზების ორმულად დამუშავება (410 546 ლარი). ასევე 10 სოფელში მოეწყო ფიტნეს-ტრენაჟორები, რისთვისაც გამოყოფილი იქნა 212 898 ლარი. აშენდა 10 ტიპიური საცხოვრებელი სახლი ღირებულებით 464 902 ლარი, ბარათაშვილის ქუჩაზე არსებულ საავტმობილო გზას ჩაუტარდა რეაბილიტაცია ღირებულებით- 111 446 ლარი, მოეწყო 4 ძმის ქუჩაზე მე-3 ბაღთან მისასვლელი საავტმობილო გზა ღირებულებით - 95 999 ლარი, ასევე რეაბილიტირდა რუსთაველის ქუჩაზე არსებული გმირთა მემორიალი ღირებულებით 29 893 ლარი.

- ✓ **სკოლები**

მუნიციპალიტეტს გაფორმებული მემორანდუმის თანახმად გამოეყო სოფ. ბარდუბანის საჯარო სკოლის სარეაბილიტაციოდ თანხა, რომლის ფარგლებში მოხდა სკოლის კოსმეტიკური რემონტი, მოეწყო სპორტული დარბაზი და ცენტრალური გათბობა ღირებულებით 196 708 ლარი.

✓ სივრცის მოწყობის და არქიტექტურის განყოფილება

სივრცის მოწყობის და არქიტექტურის განყოფილება ძირითად საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. განყოფილება დადგენილი წესით უზრუნველყოფს საქმის წარმოებას მშენებლობის ნებართვების გაცემასთან დაკავშირებით. კერძოდ, მიწის სამშენებლოდ გამოყენების და მშენებლობის ნებართვის თაობაზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებას, სანებართვო მოწმობების გაცემას, შეთანხმებული პროექტებში კორექტირებების შეტანას, მშენებლობების ვადების გაგრძელებას, შენობის დემონტაჟის პროექტის შეთანხმებას და ნებართვის გაცემას, მშენებლობადასრულებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღებას.

განყოფილება კანონმდებლობის შესაბამისად შეიმუშავებს წინადადებებს მე-4 და მე-5 კლასის მშენებლობებზე მდგრადი განვითარებისა და ეკონომიკის სამინისტროსთვის. ასევე ამზადებს თანხმობის პროექტებს პირველი კლასის მშენებლობების, კერძოდ, 60 $მ^2$ შენობების, ხაზობრივი ნაგებობების (ბუნებრივი გაზის, ელ-გადამცემი, ინტერნეტ გადამცემი ხაზების, საკაბელო ტელევიზიების), გარე რეკლამის განთავსების და შენობა-ნაგებობების ფასადების ცვლილებების შესახებ. განყოფილება ამზადებს შუამდგომლობების წერილების პროექტებს საგზაო დეპარტამენტის და სხვადასხვა უწყებების სახელზე, თანხმობებს მიწის ნაკვეთების, შენობა-ნაგებობების გაყოფა-გაერთიანებაზე.

განყოფილებაში 2023 წელს შემოსულია 1758 განცხადება რეაგირებისათვის, რომლებზედაც მომზადებულია სამართლებრივი აქტების პროექტები და გაცემულია პასუხები განყოფილების საჯარო მოხელეების მიერ, რომლებიც დაკისრებულ მოვალეობებს ასრულებენ პასუხისმგებლობით.

2023 წლის მონაცემებით გაცემულია 84 მშენებლობის ნებართვა სხვადასხვა ობიექტის მშენებლობისათვის. სანებართვო მოსაკრებლების რაოდენობამ შეადგინა 26.8 ათასი ლარი, რაც 2022 წელთან შედარებით 12.4 მეტია.

✓ იურიდიული სამსახური

იურიდიული სამსახური უზრუნველყოფს მერიაში შემუშავებული სამართლებრივი აქტების, პროექტების, ხელშეკრულებების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების და სხვა დოკუმენტების სამართლებრივი გამართულობას მათი შესაბამისობის კონტროლს მოქმედ კანონმდებლობასთან, მუნიციპალიტეტის ნორმატიულ და სამართლებრივ აქტებთან; სამსახური უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის კანონიერი ინტერესების დაცვას სამართლებრივ ურთიერთობებში სასამართლოებში, სახელმწიფო ორგანოებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან. იურიდიული სამსახურის თანამშრომლები, მერიის სამსახურებისთვის მიმაგრებულები არიან დარგობრივად, უწევენ კონსულტაციას და ჩართულები არიან მუნიციპალიტეტში არსებულ ყველა კომისიებში, საბჭოებსა და სამუშაო ჯგუფებში.

იურიდიული სამსახური კონსულტაციას უწევს მერიის დაქვემდებარებაში შემავალ ყველა შპს-სა და ააიპ-ს, სტრუქტურულ ერთეულებს, საჯარო მოსამსახურეებს და მერის წარმომადგენლებს. სისტემატიურად ეხმარება

მოქალაქეებს ისეთი ტიპის საკითხებში, როგორიცაა: ქონებრივი დავა, განქორწინება, კერძო საკუთრების დარეგისტრირება, პირადი საბუთების მოწესრიგება და სხვა.

სამსახურმა 2023 წლის საანგარიშო პერიოდიში მონაწილეობა მიიღო 2022 წელს დაწყებულ და 2023 წლის მიმდინარე 17 სასამართლო პროცესში, რომლებშიც მონაწილეობა უმეტეს შემთხვევაში დასრულდა მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ. 2022 წლის ნოემბრიდან 2023 წლის ნოემბრამდე სამსახურის მიერ მომზადდა სხვადასხვა ტიპის ბრძანებების და დადგენილებების პროექტები. იურიდიული სამსახური უზრუნველყოფს თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სამართლებრივ მომსახურებას. სამსახურის სპეციფიკიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე ჩართულია ყველა სტრუქტურის ფუნქციური პრობლემების გადაჭრასა და მოგვარებაში.

2022 წლის 1 ნოემბრიდან 2023 წლის 1 დეკემბრის ჩათვლით იურიდიული სამსახურის მიერ ვიზირებული იქნა 7437 გასული კორესპონდენცია, 3622 -ბრძანება, 387 სამართლებრივი აქტი (ცნობა) და 3 ოქმი.

- ✓ **ჯანდაცვისა და სოციალური საკითხთა სამსახური**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში 2023 წელს მოქმედებდა 14 სოციალური პროგრამა, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

საანგარიშო პერიოდში დღეის მდგომარეობით სოციალური პროგრამებით ისარგებლა 4834 ოჯახმა, რისთვისაც გაიხარჯა 1 539 511 ლარი. სოციალური პროგრამების ბიუჯეტი წლის დასაწყისისათვის იყო 1 280 000 ლარი, რომელმაც რამდენჯერმე განიცადა ცვლილება და წლის ბოლოსთვის ეს თანხა შეადგენს 1 542 000 ლარს.

გახარჯული თანხა პროგრამების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა:

1.**„თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი მოქალაქეების ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა“,** რომლის ბიუჯეტი წლის დასაწყისისთვის იყო 200 000 ლარი, პროგრამაში რამდენჯერმე შევიდა ცვლილება და პროგრამის ბიუჯეტი წლის ბოლოსთვის გახდა 265 00 ლარი. ამ დროისათვის დახმარება გაეწია 1794 ოჯახს. პროგრამის ბიუჯეტი მთლიანად იქნა გახარჯული.

2.2023 წლის 1 იანვრიდან დღემდე **„თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურეობის თანადაფინანსების ერთჯერადი პროგრამის** ” ფარგლებში ხდება ოპერაციებისა და გამოკვლევების დაფინანსება. აღსანიშნავია, რომ გასული წლიდან მოქალაქეებს თავიანთი შემოსავლების გათვალისწინებით მეორედაც შეუძლიათ ისარგებლონ აღნიშნული პროგრამით. პროგრამის ფარგლებში გახარჯულია 292 843 ლარი 982 მოქალაქეზე . პროგრამის ბიუჯეტი წლის დასაწყისისთვის იყო 250 000 ლარი, ამ დროისთვის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 293 000 ლარს.

3.**„თერჯოლის მუნიციპალიტეტში დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებულ ბენეფიციართა დახმარების პროგრამის “** ბიუჯეტია 96 000 ლარი. მიმდინარე წელს ისარგებლა 31 ბენფიციარმა. თითოეულს ყოველთვიურად ერიცხებათ 250 ლარი. პროგრამის ფარგლებში გახარჯულია 94 750 ლარი.

4.**,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციართა სოციალური და მხარდაჭერის პროგრამიდან''** დახმარება გაეწია ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებულ 180 ბენეფიციარს, თითოეულს 150 ლარი ერთჯერადად. პროგრამის ბიუჯეტი 2023 წელში შეადგენს 27 000 ლარს.

5.**,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური მხარდაჭერის პროგრამიდან** ''დახმარების თხოვნით მოგვმართა და დახმარება მიიღო 55 ბენეფიციარმა, რომლებსაც ყოველთვიურად ერიცხებოდათ 60 ლარი. 2023 წელს ამ პროგრამის ფარგლებში გახარჯულია 39 240 ლარი.

6. **,,უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებლი ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამის''** ბიუჯეტი შეადგენდა 27 000 ლარს. ამ პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწია 12 უსახლკარო ოჯახს, რისთვისაც გაიხარჯა 27 150 ლარი.

7.**„საკვები პროდუქტების დახმარების“** თხოვნით შემოსულ განცხადებებს განიხილავს ,,მოქალაქეთა განცხადებების შემსწავლელი შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფი“ რომლის რეკომენდაციის საფუძველზე დახმარება გაეწია 1 448 მოქალაქეს, რისთვისაც გაიხარჯა 113 563 ლარი. პროგრამის ბიუჯეტია 114 000 ლარი.

8.თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ,,**თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ახალშობილთა ოჯახების მხარდაჭერის პროგრამ**ა'' რომლის ბიუჯეტია --51 600 ლარი. პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწია 185 ოჯახს, რისთვისაც პროგრამის ბიუჯეტი მთლიანად გაიხარჯა.

9.**„უკიდურეს გაჭივრებაში მყოფი მოქალაქეების დახმარების“** პროგრამა ითვალისწინებს ყოფილი უფასო სასადილოს ბენეფიციარების დახმარებას. დარჩენილია 2 ბენეფიციარი, რომლებსაც ყოველთვიურად ერიცხებათ 70 ლარი. პროგრამის ფარგლებში გახარჯულია 1680 ლარი.

10. **,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრიებულ სახლდაზიანებული მოქალაქეების 2023წლის დახმარების პროგრამის**'' ბიუჯეტია 524 000 ლარი. პროგრამის მიზანია დაეხმაროს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მცხოვრებ მოქალაქეებს, რომელთა საცხოვრებელი სახლები დაზიანების მასშტაბის გამო საჭიროებს გადაუდებელ შეკეთებას. ამასთანავე, პროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მცირე ფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობას ან/და შეძენას. მცირეფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობის ბიუჯეტია 472 000 ლარი. ხოლო საცხოვრებელი სახლები, რომლებიც დაზიანების მაშტაბის გამო საჭიროებს გადაუდებელ შეკეთებას - ბიუჯეტი განისაზღვულია 52 000 ლარით. შეკეთდა 54 სახლი.

2023 წელს აშენდა და ბენეფიციარებს გადაეცა 10 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

11. **,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და 18 წლამდე დიაბეტით დავადებულთა ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამის''** ბიუჯეტია 31 000 ლარი. პროგრამის ფარგლებში ყოველთვიურად დახმარებას იღებენ ფენიკეტონურიით დაავადებული მოქალაქეები, რომელთა დახმარება

შეადგენს 300 ლარს და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებული ბავშვიანი ოჯახები, რომელთა დახმარება შეადგენს - 100 ლარს .

12. **,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სოციალური მხარდაჭერის პროგრამის''** ბიუჯეტია 45 600 ლარი. დახმარების მისაღებად მოგვმართა და დახმარება გაეწია 46 მარტოხელა მშობელს, რისთვისაც პროგრამის ბიუჯეტი მთლიანად გაიხარჯა.

13. რაც შეეხება **,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურეობის პროგრამას '', მის** ფარგლებში ისარგებლა შშმ სტატუსის მქონე 18 წლამდე 17 ბენეფიციარმა.

14. ასევე მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს **,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალბულის სარიტუალო მომსახურეობის პროგრამა'** რომლის ფარგლებში სარიტუალო მომსახურეობა გაეწია 2 უპატრონო მიცვალებულს.

კანონმდებლობით გათვალისწინებულ სარიტუალო მომსახურეობის თანხით, რომელიც განხორციელებულია მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში, დახმარება გაეწია 4 გარდაცვლილი ომის ვეტერანის ოჯახს- თითოეულს 250 ლარით .

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიამ შ შ მ ბავშვთა სასწავლო სარეაბილიტაციო ცენტრ ,,იმედის სხივსა'' და ,,განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრს'' 2023 წელში გადაურიცხა 13 000 ლარი.

ასევე აღსანიშნავია, რომ თერჯოლის მერიისა და სოციალური სამსახურის ორგანიზებით მუნიციპალიტეტის მცხოვრებ 70 წელს გადაცილებულ მარტოხელა მოხუცებს სააღდგომოდ და საბარბარობოდ გადაეცა სასურსათი.. ხოლო სამ და მეტ შვილიან სოციალურად დაუცველ ოჯახებს საახალწლოდ გადაეცემა სასურსათო კალათი.

სოციალური სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა და კიდევ გრძელდება უფასო ოფთალმოლოგიური, გინეკოლოგიური და სხვა კვლევები.

- ✓ **თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური**

მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ფუნქციაა: განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის კუთხით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმა და ჩატარება.

სამსახური კოორდინაციას უწევს: ა(ა)იპ თერჯოლის სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალურ ცენტრს (ცენტრში არსებული ფილიალები), ა(ა)იპ თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრისა და ა(ა)იპ თერჯოლის

სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის საქმიანობას. უზრუნველყოფს: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაციასა და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესის ხელშეწყობას.

კულტურა - სამუსიკო სკოლაში განათლებას იღებს 190 მოსწავლე. მუსიკალურ სკოლას ჰყავს 17 პედაგოგი. სამუსიკო სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ მუნიციპალურ და რეგიონალურ ღონისძიებებში.

სამხატვრო-საგანმანათლებლო სკოლაში დასაქმებულია 5 პედაგოგი და სამხატვრო განათლებას იღებს 90 მოსწავლე. სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმა საკუთარი ნაშრომები წარმოადგინეს, როგორც სკოლის სივრცეში, ასევე აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა მუნიციპალურ პროექტებში.

თერჯოლის ა(ა)იპ მოსწავლე - ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალურ ცენტრში დასაქმებულია 43 თანამშრომელი, კლუბებში და სხვადასხვა აქტივობებში ჩართულია 595 მოსწავლე. მოსწავლე - ახალგაზრდობის ცენტრში მიმდინარეობს სხვადასხვა პროექტებზე მუშაობა, ფესტივალების მოწყობა, სადღესასწაულო ღონისძიებების გამართვა, სხვადასხვა მეცნიერებებში, მათ შორის სოფლის მეურნეობის კუთხით განათლების მიღება, ფოლკლორული და სახელოვნებო ოსტატობის შესწავლა. 2023 წელს ცენტრს დაემატა რობოტექნიკის კლუბი. თანამედროვე ტექნოლოგიების შესწავლით დაინტერესებული მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული ზემოთ აღნიშნული კლუბის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში.

საჯარო ბიბლიოთეკაში დასაქმებულია 27 თანამშრომელი. საჯარო ბიბლიოთეკის შემადგენლობაში შედის საბავშვო განყოფილება, სოფ. სიქთარვის ბიბლიოთეკა, სოფელ ჭოგნარის ბიბლიოთეკა და სოფ. ქვ. სიმონეთის ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკები მოემსახურნენ 5000 მკითხველს. რეგულარულად აწყობენ წიგნის პოპულარიზაციისთვის სხვადასხვა ღონისძიებებს.

კულტურის სახლში დასაქმებულია 69 თანამშრომელი. კულტურის სახლთან არსებობს ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „მასპინძელო“, ფოლკლორული ანსამბლი „იმერეთი“, ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმერეთი“, ქალთა ანსამბლი „იამე“. წლის განმავლობაში თერჯოლის შემოქმედებითი კოლექტივი რეგულარულად იღებს მონაწილეობას, როგორც ადგილობრივ ასევე რეგიონალურ ღონისძიებაში. კულტურის სახლთან არსებული სახალხო თეატრი ყოველწლიურად მონაწილეობს ფესტივალში „თეატრალური იმერეთი“. 2023 წელს ნომინაციაში „ახალგაზრდა ქალის როლის საუკეთესო შემსრულებელი“ გამარჯვებული გახდა ლიზი ნეფარიძე. წარმატებულ ახალგაზრდას მერიამ გადასცა ფულადი ჯილდო.

საჩხერეში პაოლო იაშვილის დაბადებიდან 130 წლის იუბილესთან დაკავშირებით გაიმართა ახალგაზრდა დეკლამატორთა კონკურსი „ჩემი პარნასი“. თერჯოლიდან კონკურსში მონაწილეობას იღებდა გოგნის საჯარო სკოლის მოსწავლე ლია ლორთქიფანიძე, რომელიც გახდა კონკურსის გამარჯვებული. მიღწეული წარმატებისთვის მუნიციპალიტეტის მერიამ წარმატებულ ახალგაზრდას გადასცა ფულადი ჯილდო.

რუსთაველის ქუჩაზე საზეიმოდ გაიხსნა გრიგოლ რობაქიძის სახელობის სკვერი, სადაც განთავსდა კლასიკოსი მწერლის ბიუსტი. მხატვრულ ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეები.

საგაზაფხულო დღესასწაულებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერიამ მეწარმე ქალბატონებს დაურიგა სადღესასწაულო საჩუქრები.

წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტი მასპინძლობდა თეატრისა და ესტრადის წარმომადგენლებს: ლეო ანთაძე, მუსიკალური ჯგუფი „ფორტე“, „რეზო და ბავშვები“, თორღვა, იუმორისტული ჯგუფი ქუთაისიდან „იშვიათი იმერლები“ და აშ.

22 ოქტომბერს თერჯოლის მუნიციპალიტეტში გაიმართა სახალხო დღესასწაული „თერჯოლობა 2023“. მერიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ მთელი დღის განმავლობაში წარმოდგენილი იყო სხვადასხვა აქტივობები. გაიმართა ლაშა გოგიაშვილის სახელობის ტურნირი მინი ფეხბურთში ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის. ღონისძიების ფარგლებში მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციული ერთეულის მიერ წარმოდგენილი იყო: იმერული ეზო, კულინარიული მასტერკლასები და სხვადასხვა ჯიშისაგან დამზადებული ღვინო. ღვინის კონკურსი ხელს უწყობს თერჯოლელ მევენახეთა ნაწარმის პოპულარიზაციასა და მოტივაციას. დაჯილდოვდნენ ხატვის კონკურსში მონაწილე საუკეთესო მოსწავლეები. პატარებისთვის მოეწყო გასართობი სივრცეები, სხვადასხვა გასართობი შოუ. მოსწავლე-ახალგაზრდობის მიერ წარმოდგენილ იქნა საბავშვო პროგრამა, მთავარ სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ადგილობრივი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები, ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს საოპერო ხელოვნების წამყვანმა სოლისტებმა. დღესასწაული დაასრულა მუსიკალურმა ბენდმა.

განათლება - მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 24 საჯარო და 1 კერძო სკოლა, სადაც თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მიმდინარეობს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი. საჯარო სკოლები აქტიურად ერთვებიან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ შემოთავაზებულ სხვადასხვა პროექტებში.

მიმდინარე წელს 53 სკოლის კურსდამთავრებულს, რომლებმაც მოიპოვეს სახელმწიფო გრანტი, გადაეცათ ფულადი ჯილდო. 100 % - იანი სახელმწიფო გრანტი - 400 ლარი, 70 % -იანი სახელმწიფო გრანტი 300 - ლარი, 50 % - იანი სახელმწიფო გრანტი 200 - ლარი.

2022-2023 სასწავლო წლის კერძო და საჯარო სკოლის 74 კურსდამთავრებულებს, რომლებიც გახდნენ ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები, გადაეცათ ფულადი ჯილდო. ოქროს მედალოსნებს - 200 ლარი, ვერცხლის მედალოსნებს - 100 ლარი, სულ ჯამში 13 500 ლარი. მერისგან ასევე გადაეცემათ სამახსოვრო საჩუქრები.

საქართველოს დამსახურებული პედაგოგის წოდების მქონე ქალბატონებს, დარეჯან სარალიძეს და ეთერ ტურავას მერიის ინიციატივით გადაეცათ ფულადი ჯილდო.

მერიის ხელმძღვანელმა პირებმა პირადად მიულოცეს იუბილე და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს არაერთ ღვაწლმოსილ თერჯოლელ პედაგოგს.

სპორტი - 2023 წელს მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო ოლიმპიური დღისადმი მიძღვნილი მძლეოსნური გარბენი, მუნიციპალიტეტის პირველობა შაშში, ჭადრაკში და გამარჯვებულებს გადაეცათ ფულადი პრიზები.

აგვისტოდან სექტემბრის ჩათვლით 18 ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარდა საფეხბურთო ტურნირი უბნებს შორის. გამარჯვებულებს გადაეცათ ფულადი პრიზები.

10 ოქტომბრიდან 23 ოქტომბრის ჩათვლით გაიმართა ლაშა გოგიაშვილის სახელობის პირველობა მინი ფეხბურთში ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის. ტურნირში მონაწილეობა მიიღო 18- მა საფეხბურთო გუნდმა. გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ ფულადი პრიზები.

3 ნოემბრიდან 16 ნოემბრის ჩათვლით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2023“ ის მუნიციპალური ტური მინი ფეხბურთში, გოგონებსა და ვაჟებს შორის. მონაწილეობა მიიღო თერჯოლის მუნიციპალიტეტის 20-მა სკოლამ. ასევე გაიმართა მუნიციპალური ტური გეზრბენში, მაგიდის ჩოგბურთსა და კალათბურთში გოგონებსა და ვაჟებს შორის. გამარჯვებული გუნდები მონაწილეობას მიიღებენ რეგიონალურ სპორტულ თამაშებზე.

ფულადი ჯილდო გადაეცათ სპორტსმენებს: ევროპის პრიზიორი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში გიგა ჩაფიძე - 1500 ლარი, მწვრთნელს - 700 ლარი. ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი მკლავჭიდში გიორგი ამბროლაძე (2 200 ლარი ევროპა, 5 000 მსოფლიო, მწვრთნელი 2 000 ლარი). რომეო ნიქაბაძე - მსოფლიოს პრიზიორი სამბოში - 4 000 ლარი. გიორგი სვინტრაძე - პარა სპორტსმენი მსოფლიო ჩემპიონი მკლავჭიდში - 5 000 ლარი. შოთიკო დიაკონიძე - საუკეთესო ფეხბურთელის წოდება საქართველოს ჩემპიონატზე - 500 ლარი. ზურა გავაშელაშვილი და ნიკა ბრეგვაძე საქართველოს პირველობის პრიზიორები ჭიდაობა სამბოში 200 -200 ლარი. ზურა გავაშელაშვილმა ასევე წარმატებით იასპარეზა 9 - 12 ნოემბერს პოლონეთის რესპუბლიკის ქალაქ ბუსკო - ბაილაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე უკრაინულ ნაციონალურ ქამრიან ჭიდაობაში, დაიკავა მესამე ადგილი და გადაეცა ჯილდო 3000 ლარი, მწვრთნელს კი - 1000 ლარი.

ტურიზმი - DMO იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის ინიციატივით დაიგეგმა იტალიაში, ქალაქ მილანში საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა-გაყიდვაში „ბიტ მილანო 2023“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მონაწილეობა. მუნიციპალიტეტმა ადგილზე წარადგინა კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი ბანერები, ბროშურები, ტურისტული მარშრუტები, იმერული სამზარეულოს მასტერკლასები და სხვადასხვა ჯიშის ღვინოები.

DMO იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციასთან მჭიდრო თანამშრომლობით განხორციელდა თერჯოლის ღირშესანიშნავი ტურისტული ადგილების სარეკლამო ვიდეორგოლის გადაღება.

DMO იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის ინიციატივით და მუნიციპალიტეტის მერიის ჩართულობით წლის განმავლობაში მიმდინარეობდა თერჯოლელი ღვინის მეწარმეებისა და საოჯახო სასტუმროების მფლობელთა პროფესიული გადამზადება.

წლის განმავლობაში დაიბეჭდა თერჯოლის კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი ბანერები, ბროშურები. განხორციელდა ტურისტული მარშრუტების მარკირება.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურისა და ა(ა)იპ სახელოვნებო განათლების და კულტურის ტურიზმის განყოფილების ინიციატივით ზაფხულში გაიმართა „საზაფხულო ბანაკი“ სოფელ თავასაში. ბანაკში მონაწილეობა მიიღო 30 -მა ახალგაზრდამ. წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სპორტულ, კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამები.

ივნისს თვეში მუნიციპალიტეტის რამდენიმე სკოლა ჩაერთო კონკურსში „ჩემი სოფლის კულტურული მემკვიდრეობა“, რომელიც გულისხმობდა საუკეთესო ფოტო და ვიდეო რგოლების შექმნას. გამარჯვებულ მოსწავლეებს გადაეცათ ფულადი ჯილდო. I ადგილი 200 ლარი, II ადგილი - 150 ლარი, III ადგილი 100 ლარი.

დეკემბრის თვეში მუნიციპალიტეტის რამდენიმე სკოლა ჩაერთო კონკურსში „ჩემი სოფლის კულტურული მემკვიდრეობა“, რომელიც გულისხმობდა საუკეთესო ფოტო და ვიდეო რგოლების შექმნას. გამარჯვებულ მოსწავლეებს გადაეცათ ფულადი ჯილდო. I ადგილი 200 ლარი, II ადგილი - 150 ლარი.

სკანდას ციხეზე ტურიზმის განყოფილებისა და განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ინიციატივით განხორციელდა ისტორიული ძეგლის და მისი მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება და სახელმწიფო დროშის აღმართვა.

- ✓ **სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური**

თერჯოლის სამხედრო სამსახურში გამწვევ კომისიაზე 2023 წლის საგაზაფხულო გაწვევაზე გამოძახებული იყო 588 წვევამდელი, რომლებზეც მიღებულია ოქმებით გადაწყვეტილება 191 წვევამდელზე.

ქალაქ თბილისში სამედიცინო საექსპერტო კომისიაზე წარდგენილი იქნა 52 წვევამდელი, აქედან სამხედრო სავალდებულო სამსახურში ჩაირიცხა 8 წვევამდელი, გადაეცა პოლიციას მასალები 43 წვევამდელზე და სასამართლოს 2 წვევამდელზე.

ზღვრული ასაკით რეზერვში გადაირიცხა 89 წვევამდელი. საზღვარგარეთ იმყოფება 39, ხოლო არ იძებნება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით 35 წვევამდელი, რომლებიც დაოქმებულია პოლიციის მიერ.

2023 წლის საშემოდგომო გაწვევაზე გამოძახებულია 632 წვევამდელი, ოქმებით მიღებულია გადაწყვეტილება 248 წვევამდელზე. ქალაქ თბილისში სამედიცინო საექსპერტო კომისიაზე წარდგენილი იქნა 56 წვევამდელი, აქედან

სამხედრო სავალდებულო სამსახურში ჩაირიცხა 22 წვევამდელი, გადაეცა პოლიციას მასალები 50 წვევამდელზე და სასამართლოს 3 წვევამდელზე.

ზღვრული ასაკით რეზერვში გადაირიცხა 48 წვევამდელი. საზღვარგარეთ იმყოფება 24, ხოლო არ იძებნება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით 37 წვევამდელი, რომლებიც დაოქმებულია პოლიციის მიერ. გაცემულია წვევამდელის სააღრიცხვო მოწმობა 133 წვევამდელზე.

პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილია და შექმნილია 167 წვევამდელის პირადი საქმე, აქედან 20 პირადი საქმე გადაგზავნილია სხვადასხვა სამხედრო განყოფილებებში მოქალაქეების რეგისტრაციის მიხედვით. მომზადებული და გადაგზავნილი იქნა პირველადი სამხედრო აღრიცხვის ანგარიში საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.

ოფიცრების განყოფილებაში შემოსულია 1პირადი საქმე.

გაცემული იქნა 53 საქართველო რეზერვისტის დროებითი მოწმობა.

საკონტრაქტო სამსახურში გაწვეულია 35 პიროვნება და შექმნილია 35 პირადი საქმე(2 ეგზ.)

რეზერვში ჩაირიცხა 43 პირი და და 1 ალტერნატიული.

სპეცაღრიცხვიდან მოხსნილია 28 პიროვნება და სპეცაღრიცხვაზე აყვანილია 36 პიროვნება.

სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში გადაგზავნილი და ასევე მიღებული იქნა სააღრიცხვო ბარათები მოქალაქეების რეგისტრაციის მიხედვით.

- ✓ **თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახური**

წლიური ანგარიში შედგენილია „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად. ანგარიშის შედგენის მიზანია შიდა აუდიტის სუბიექტის საქმანობის შესახებ სრული და ობიექტური ინფორმაციის წარდგენა.

ანგარიში მოიცავს და აღწერს 2023 წლის განმავლობაში თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს, ძირითად აუდიტორულ მიგნებებს და რეკომენდაციებს.

<u>მოკლე მიმოხილვა</u>

2023 წლის აუდიტორული შემოწმების მიზნებს წარმოადგენს:

1. მართვის ხარისხისა და კონტროლის გარემოს გაუმჯობესების, საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ რეკომენდაციების შემუშავება.
2. დაწესებულების ხელმძღვანელისათვის დამოუკიდებელი და ობიექტური ინფორმაციის მიწოდება აუდიტის ობიექტების საქმიანობასთან დაკავშირებით.

3. აუდიტის ობიექტის სამუშაო პროცესების კანონთან შესაბამისობის შემოწმება.

აღნიშნული მიზნების მიღწევაში ხელშეწყობისათვის აუდიტის სამსახურმა განახორციელა შემდეგი საქმიანობები:

- მაღალი რისკების მქონე ობიექტების შემოწმება, რათა მომხდარიყო ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება. დაწესებულების საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან, არსებულ წესებთან და მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობის შეფასება. ფინანსური და სხვა ინფორმაციის სანდოობის სიზუსტისა და სისრულის შეფასება და აღმოჩენილი ხარვეზების და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის მიზნით მერისათვის შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა.
- სამსახურის მიერ შემუშავებული და გაცემული რეკომენდაციების შემდგომი შესრულების მონიტორინგი და კონტროლი.
- სამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

<u>წლიური გეგმის შესრულების ანგარიში</u>

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურს 2023წელს ჩატარებული აქვს გეგმით გათვალისწინებული 3 (სამი) ობიექტის შემოწმება.

- ✓ 1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური, გაცემულია 1 რეკომენდაცია.
- ✓ 2. ა(ა).ი.პ სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი, გაცემულია 5 რეკომენდაცია.
- ✓ 3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური, გაცემულია 2 რეკომენდაცია.

<u>გაცემული რეკომენდაციების მნიშვნელოვნება</u>

ცალკეული აუდიტორული შემოწმებებით გამოვლენილი აუდიტორული მიგნებების შესაბამისად, შიდა აუდიტის ობიექტებს მიეცათ შესაბამისი რეკომენდაციები. გაცემული რეკომენდაციების უმრავლესობა ორიენტირებული იყო შიდა აუდიტის ობიექტში მართვისა და კონტროლის სისტემის შემუშავებასა და გაუმჯობესებაზე, საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი და ეკონომიური ხარჯვის უზრუნველყოფაზე. რეკომენდაციების გაცემის მიზანს წარმოადგენს ფინანსური მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჯობესება, დაწესებულების მიზნების მიღწევა, საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი ხარჯვა და ამოცანების შესრულება.

მნიშვნელოვანია დაწესებულების მიერ განხორციელებული ყველა ოპერაციის სრულად, ზუსტად, დროულად და რეგულარულად ასახვის პროცედურების დამკვიდრება. ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვის პროცედურების დამკვიდრება. დაწესებულების მიერ განხორციელებული ყველა ოპერაციის დოკუმენტირება და სხვა.

კონტროლის ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს

კონტროლის გარემოს დამკვიდრება, რომელიც პირველ ყოვლისა მოიცავს და გულისხმობს მენეჯმენტის მხრიდან საქმიანობის კონტროლისა და რისკების მართვის აუცილებლობის ცნობიერებას.

<u>გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი</u>

შიდა აუდიტის სამსახურისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს გაცემული რეკომენდაციების შესრულების შედეგად მიღებული სარგებლობის ზრდა. ამ მიმართულებით მიღწეული შედეგების გაუმჯობესება საჭიროებს, როგორც შიდა აუდიტის სამსახურის მხრიდან რეკომენდაციების ხარისხის, ასევე აღნიშნულ პროცესში მენეჯმენტის ჩართულობისა და აუდიტის ობიექტის მხრიდან რეაგირების გაზრდას.

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში მონიტორინგი ხორციელდება ცალკეული რეკომენდაციებისა და მათი შესრულების მიზნით დაგეგმილი და შეთანხმებული ღონისძიებების გატარების შესახებ აუდიტის ობიექტისაგან წერილობითი ინფორმაციის გამოთხოვნით და ადგილზე გადამოწმებით მიღებული შედეგების შესაბამისად ხდება ანგარიშების შედგენა, რომლებიც წარედგინება მერს.

ამ ეტაპზე შიდა აუდიტის სამსახური ახორციელებს ორი ტიპის აუდიტს: **შესაბამისობის და ფინანსურ აუდიტორულ შემოწმებებს.**

შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის უკეთესი ფუნქციონირების, განვითარებისთვის და ეფექტური მუშაობისათვის მნიშვნელოვანია სამსახურის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება, აღნიშნული მიზნის მისაღწევად და თანამშრომლების პროდუქტიულობის ასამაღლებლად აქტიურად მოხდება მათი პერიოდული გადამზადება;

- ✓ **ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად და დაკომპლექტებულია სათანადო გამოცდილების მქონე საჯარო მოხელეებით, რომლებიც სისტემატურად ღებულობენ მონაწილეობას თერჯოლის მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში, ჩართულნი არიან მერიაში მოქმედ სხვადასხვა კომისიებსა და სამუშაო ჯგუფებში.

სამსახური აწარმოებს მუნიციპალიტეტში არსებული ქონების აღრიცხვა-რეგისტრაციას, მუშაობს სახელმწიფო ქონების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის საკითხებზე, რეკომენდაციებს შეიმუშავებს მუნიციპალური ქონების კატეგორიების განსაზღვრასა და შეცვლასთან დაკავშირებით, ამზადებს საჭირო რეკომენდაციებსა და დოკუმენტაციას მუნიციპალური ქონების პრივატიზებასა და სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

საანგარიშო პერიოდში აზომვით/აგეგმვითი ნახაზების შედგენასთან დაკავშირებით გაფორმდა საჭირო ხელშეკრულება შპს ,,გეოიდთან“. მომზადდა აზომვითი/აგეგმვითი ნახაზები ელ. ვერსიებით სულ **76**

(სამოცდათექვსმეტი) ობიექტზე. შესაბამისად მომზადდა დოკუმენტაცია სახელმწიფო ქონების მუნიციპალურ საკუთრებაში გადმოცემა-რეგისტრაციისთვის.

ამ პროცესის წარმართვისთვის სამსახური ხელმძღვანელობს საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 ოქტომბრის N233 დადგენილებითა და სხვა კანონმდებლობის გათვალისწინებით. ამასთან დაკავშირებით თანამშრომლობა უწევს შემდეგ სახელმწიფო უწყებებთან: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ-მინერალური რესურსების სააგენტო, სატყეო და საავტომობილო გზების დეპარტამენტები, სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა, ქონების ეროვნულ სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან. აღნიშნული საქმისწარმოება საანგარიშო პერიოდში დაიწყო **43** (ორმოცდასამი) ობიექტზე. ამ ობიექტებიდან **28** (ოცდარვა) ობიექტი დარეგისტრირდა მუნიციპალურ საკუთრებაში. **3** (სამ) ობიექტზე შეწყდა საქმის წარმოება, **12** (თორმეტი) ობიექტზე მიმდინარეობს სამუშაო პროცესი.

მომზადდა საპრივატიზაციო ნუსხაში შესატანი ობიექტების შეფასებისთვის საჭირო დოკუმენტები და დაიდო ხელშეკრულებები სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროსთან.

2023 წელს დამტკიცებული საპრივატიზაციო ნუსხის და გეგმის შესაბამისად ელექტრონული აუქციონი გამოცხადდა **27** უძრავ/მოძრავ ქონებაზე, ასევე მომზადდა და გაფორმდა იჯარის და ქირავნობის ხელშეკრულებები. ადგილობრივ ბიუჯეტში პრივატიზაციის/იჯარის შედეგად მიღებულმა თანხამ სულ ჯამში შეადგინა **353 262** (სამასორმოცდაცამეტიათას ორასსამოცდაორი) ლარი.

სამსახური მუშაობს წიაღის მოპოვებაზე ლიცენზიის გაცემის, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვის მიზანშეწონილობის საკითხებზე, რის შესახებაც წიაღის ეროვნული სააგენტოდან და იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციიდან შემოსულია **68** წერილი, ყველა ობიექტი შესწავლილია ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად და გაცემულია მოტივირებული/დასაბუთებული პასუხები.

საანგარიშო პერიოდში მოხდა საჭირო დოკუმენტაციის მომზადება და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული **18** (თვრამეტი) სოფლის საექიმო ამბულატორიიდან **3** (სამი) ამბულატორიის შენობა (გოდოგანი, თუზი, ღვანკითი,) რეაბილიტაციისათვის, ასევე 10 (ათი) მიწის ნაკვეთი (ქვ. ალისუბანი, რუფოთი, ახალთერჯოლა, გოგნი, ჩხარი, ქვ. სიმონეთი, კვახჭირი, ეწერი, ჭოგნარი, სიქთარვა) ახალი ამბულატორიის შენობის მშენებლობისათვის გადაეცა სახელმწიფოს, შემდგომში სამედიცინო ჰოლდინგზე გადაცემის მიზნით, ხოლო **5** (ხუთი) ქონებაზე (ბარდუბანი, ძევრი, ზედა საზანო, ზედა ალისუბანი, ზედა სიმონეთი) მიმდინარეობს საჭირო პროცედურების განხორციელება.

ეკონომიკის და ქონების მართვის სამსახურში 2023 წელში შემოსული და გასული კორესპოდენცია შეადგენს სულ **4300** წერილს. მიღებული დავალებების 95 % განხილულია და პასუხგაცემულია სათანადოდ, ხოლო დანარჩენი დამუშავების/შესწავლის პროცესშია.

- ✓ **მერიის ზედამხედველობის სამსახური**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური წარმოადგენს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო ზედამხედველობას თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებზე, ადგილობრივი თვითმართველობისათვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილების ფარგლებში. სამსახური თავის საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, ,,ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, საქართველოს კანონი ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-თ, სხვა კანონქვემდებარე აქტებით და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული დებულებით.

2023 წლის განვლილ პერიოდში ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლები სისტემატიურ კონტროლს ახორციელებდნენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე სამშენებლო, სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოებზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მთლიანობაში აღირიცხა უნებართო და სანებართვო პირობების დარღვევით მშენებლობის 10 ფაქტი. თითოეულ მათგანზე გატარებულია კანონის შესაბამისი ღონისძიებები.

მიმდინარე პერიოდში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილი ქონდა უნებართვო მშენებლობების ფაქტებს. თითოეულ მათგანზე გატარებულია კანონის შესაბამისი ღონისძიებები. უნებართო და სანებართვო პირობების დარღვევით ნაწარმოებ სამშენებლო სამუშაოებზე შედგენილია შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტაცია და სამშენებლო სამართალდამრღვევების მიმართ მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოება. ნაწილი დაჯარიმებულია.

სისტემატიურად მიმდინარეობს მონიტორინგი გარე ვაჭრობისა და ასფალტ–ბეტონის საფარის დაზიანებაზე. დამრღვევ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირები სამსახურის მიერ იღებენ გაფრთხილებებს კანონით დადგენილი წესების დაცვის შესახებ. სამსახური ახორციელებს მუნიციპალიტეტში 2023 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებულ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე ტექნიკურ ზედამხედველობას. დღეის მდგომარეობით პროექტების ძირითადი ნაწილი დასრულებულია. სამსახური საანგარიშო წელში მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების საინვენტარიზაციო კომისიის სხდომებში.

2023 წლის განვლილ პერიოდში სამსახურს რეაგირებისა და შესწავლის მიზნით დაეწერა სხვადასხვა შინაარსის განცხადებები და მოხსენებითი ბარათები, რომლებიც დროულად იქნა შესწავლილი და შესაბამისი პასუხი გაცემული.

- ✓ **ა(ა)იპ თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი**

ა(ა)იპ თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ -გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტის გეგმით გამოყოფილი მიზნობრივი სუბსიდირება, რომელიც 2023 წელს განისაზღვრა 650000 ლარით;

ცენტრის მიზნები და ამოცანებია:

- ✓ სპორტის განვითარება, სპორტული ტრადიციების დაცვა, გაღრმავება და თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობა;
- ✓ მოქალაქეთა გაჯანსაღება, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და ფიზიკურად განვითარებული პიროვნების ფორმირება; მოზარდ თაობაში მასობრივი სპორტის განვითარების პროპაგანდა;
- ✓ მოსახლეობის გაჯანსაღებისა და სპორტული განვითარების მიზნით მუნიციპალური პროგრამების, გეგმების შემუშავება-განხორციელება;

ცენტრში არსებულმა ყველა ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო სულ 140 გასვლით ღონისძიებაში. ადგილზე ჩატარდა 2 ღონისძიება „მიშიკო აბაშიძის“ ხსოვნის ტურნირი ჭიდაობა სამბოში და „გურამ ბერეკაშვილის“ ხსოვნის ტურნირი მინი ფეხბურთში, დეკემბრის შუა რიცხვებში გაიმართება ჭიდაობა ძიუდოში მერიის თასის გათამაშება.

სპორტული სკოლის აღსაზრდელებმა 2023 წელს შეჯიბრებებში (სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფები) მოიპოვეს 39 ოქრო, 49 ვერცხლი და 102 ბრინჯაოს მედალი.

2023 წლის დაფინანსების პროგრამა დაზუსტდა 765000 ლარით, სპორტის სასახლეში შეიცვალა ტრიბუნები, ცენტრალურ სტადიონზე ნაწილობრივ გადაიხურა შენობა, სპო-რტულ სკოლაში გარემონტდა და შეიღება საჭიდაო დარბაზები.

- ✓ **ა(ა)იპ თერჯოლის სახელოვნებო განათლების,კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრი**

ცენტრის შემადგენლობაში შემავალი ხუთი ფილიალიდან (საჯარო ბიბლიოთეკა, კულტურის სახლი, სამუსიკო სკოლა, სამხატვრო სკოლა,თერჯოლის მუზეუმები და ტურიზმის მიმართულების სამსახური) თითოეულს თავისი ღირსეული წვლილი შეაქვს თერჯოლის მუნიციპალიტეტის კულტურული სფეროს განვითარებაში.

საჯარო ბიბლიოთეკა: თერჯოლის საჯარო ბიბლიოთეკა 2023 წლის იანვრიდან დღემდე მოემსახურა 3 200 მკითხველს და მომხმარებელს. მოეწყო სხვადასხვა სახის ღონისძიებები ღირშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით. ბიბლიოთეკას სისტემურად სტუმრობენ საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეები-ეცნობიან წიგნად და მომსახურეობის ფორმებს. მიმდინარეობს მკითხველ ჯგუფებთან მუშაობა მათი ინტერესის მიხედვით. ხდება ასევე ახალი ლიტერატურიის შეძენა მოთხოვნების შესაბამისად. ეწყობა ახალი ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული განხილვები. ტარდება ასევე ინტერესის მიხედვით კინო-ჩვენებები. მიმდინარეობს ერთიანი ფონდის ინვენტარიზაცია და გაწმენდა. ღონისძიებები ტარდება აქტიური მკითხველების მონაწილეობით.

ფილიალის შემადგენლობაში შედის **სამი სასოფლო ბიბლიოთეკა:** სიქთარვა, ჭოგნარი და ახლად გახსნილი ქვ. სიმონეთის ბიბლიოთეკა. აღნიშნული ბიბლიოთეკები თავიანთი წიგნადი ფონდით სათანადოდ ემსახურებიან სოფლის მკითხველებს და ღირშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით ატარებენ ღონისძიებებს. პრობლემად რჩება სასოფლო ბიბ-კების (გაუქმებული) ფონდების საკითხის მოგვარება. ეს სოფლებია: თუზი, ჩხარი, ზ. სიმონეთი, ჯვახჭირი, გოდოგანი.

თერჯოლის საჯარო ბილიოთეკის საბავშვო განყოფილება მუშაობას წარმართავს წინასწარი შედგენილი წლიური სამუშაო გეგმის საფუძველზე. ბიბლიოთეკა ემსახურება ასაკობრივი ჯგუფის ბავშვებს. 2023 წლის იანვრიდან დღემდე ბიბლიოთეკა მოემსახურა 838 მკითხველს და გაიცა მათზე 15782 წიგნი. მიმდინარეობდა მასობრივი მუშაობა ბავშვებთან, ზღაპრის კითხვის დღე, ახალი წიგნის გამოფენა და ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები.

სამხატვრო სკოლა - სამუსიკო სკოლამ საანგარიშო პერიოდში უმასპინძლა დედის, დედაენის, ბავშვთა დაცვის, საშემოდგომო და თერჯოლობასთან მიძღვნილ გამოფენებს.

ვაჟა კუბლაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა: სამუსიკო საგანმანათლებლო სკოლაში სწავლება მიმდინარეობს შემდეგ განყოფილებებზე: საფორტეპიანო, გიტარის, სოლო სიმღერისა და ხალხურ საკრავთა შემსწავლელ განყოფილებებზე. სამუსიკო საგანმანათლებლო სწავლებას ეუფლება სულ 186 მოსწავლე.

კულტურის სახლი: კულტურის სახლში ფუნქციონირებს ოთხი ანსამბლი (მასპინძელო, იამე, იმერეთი და ცეკვის ქორეოგრაფიული ანსამბლი იმერეთი).

დავით და სერგო კლდიაშვილების სახლ -მუზეუმი: 2023 წლის იანვრიდან მუზეუმს ეწვია 131 ორგანიზებული ჯგუფის 2601 პირი : 46 ინდივიდუალური ჯგუფის 291 პირი. სამუზეუმო ფონდებს შეემატა 1 ექსპონატი და 3 სურათის ასლი. განახლდა ეზო, ინფრატრუქტურა, ხის მაგიდა ჩანაცვლდა ქვის მაგიდით. ხელახლა რესტავრირდა და აღდგა თოვლისგან დანგრეული სამზადი სახლი. მუზეუმში ჩატარდა რამოდენიმე ღონისძიება, მოეწყო პოეზიის ორი საღამო და შეხვედრა პოეტებთან. გაფორმდა მეგობრობის მემორანდუმი ქ.ქუთაისის ქალთა კლუბთან და მოეწყო მიღება მუზეუმის ეზოში.

შალვა და პეტრე ამირანაშვილების სახლ-მუზეუმმა მიიღო 14 ექსკურსიის 156 პირი.

ტურიზმის მიმართულებით:

სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრის ტურიზმის მიმართულებით საანგარიშო პერიოდში პიარსა და პრომოუშენს უწევდა თერჯოლის ტურისტულ პროდუქტს. ქმნიდა ტურისტულ მარშრუტებს; კოორდინაციას უწევდა არამატერიალურ თუ მატერიალური, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს; უზრუნველყოფდა მოპოვებული ინფორმაციის ელექტრონულად დამუშავებას; კონსულტაციებს უწევდა მუნიციპალიტეტში არსებულ საოჯახო სასტუმროებს; აწარმოებდა ტურისტების შემოსვლასა და მათ შესახებ სხვადასხვა სტატისტიკას; მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებსა და საერთაშორისო კონფერენციებში.

ტურიზმის მიმართულება ხელს უწყობდა ახალგაზრდების ჩართულობას ტურისტულ საქმიანობაში. ეწყობოდა სხვადასხვა ღონისძიებები, ტურისტული ბანაკი, კონკურსები და ა.შ.

ტურიზმის მიმართულება აქტიურად მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში. 17-23 ივლისს ტურიზმის მიმართულების ინიციატივით სოფელ თავასის საჯარო სკოლის ბაზაზე მოეწყო ახალგაზრდული ტურისტული ბანაკი „თერჯოლა 2023“, რომელშიც მუნიციპალიტეტის სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. ბანაკის მიზანი იყო ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლება თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის შესახებ. ოთხი დღის განმავლობაში მრავალი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა. მოწვეული იყვნენ სტუმრები ტურისტული სფეროდან. მოეწყო ლასქრობები,დისკუსიები, სპორტული თამაშები, თეატრალური წარმოდგენები, გასართობი ღონისძიებები, წაკითხული იქნა ლექცია თემაზე „ინტერკულტურული ურთიერთობები“, პრეზენტაცია ჩატარდა DMO იმერეთის საქმიანობის, კულტურული ღირსშესანიშნაობების შესახებ. ბანაკის მუშაობამ საინტერესოდ ჩაიარა.

2024 წლისთვისაც საინტერესო აქტივობები იგეგმება ტურიზმის მიმართულებით.

- ✓ **ა(ა)იპ თერჯოლის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური ცენტრი**

ა(ა)იპ თერჯოლის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებათა გავრცელების პრევენციის ღონისძიებების განხორციელება, ინფექციურ დაავადებათა ელექტრონულ ინტეგრირებულ სისტემაში მონაცემების შეყვანა, დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პრევენცია. ამავე დროს პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის სამინისტროს მიერ მოწოდებული მასალების (ვაქცინების, სტრატეგიული შრატების, ტესტების) მიღების, შენახვის და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის.

შედგენილი იქნა 2023 წლის პროფილაქტიკური აცრების საორიენტაციო გეგმა დადგენილი კონტიგენტის მიხედვით. განისაზღვრა ვაქცინების წლიური საჭიროება იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებებისა და ფიზიკური პირების სამოქმედო ტერიტორიული კონტიგენტისთვის. ამავდროულად საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური ცენტრი დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისგან ყოველკვარტალურად ღებულობდა სპეციფიურ შრატებს და ანტირაბიულ ვაქცინას.

ასაცრელი მასალა ინახება ცენტრში არსებულ მაცივრებში სათანადო ტემპერატურული რეჟიმის დაცვით.

2023 წელს ჰექსა ვაქცინით 0-1 წლამდე ასაკის კონტიგენტი იყო 147, მე-3 აცრა დაამთავრა 106 ბავშვმა.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური ცენტრი ყოველთვიურად აწარმოებს დამხმარე ზედამხედველობის განხორციელებას მუნიციპალიტეტში შემავალ პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში, რაც მოიცავს იმუნიზაციის შესრულებას, აცრების დროულობის მაჩვენებელს.

დამხმარე ზედამხედველობის მიზანია გაუმჯობესდეს პირველადი ჯანდაცვის რგოლში არსებული მდგომარეობა. ახალი მაცირები გადაეცა ალისუბნის, საზანოს, ეწერის და ნახშირღელის ამბულატორიებს. ვაქცინის მიწოდებაში წყვეტილობა არ დაფიქსირებულა.

2023 წლის განმავლობაში რეგისტირებული იყო: ყივანახველა-1, ჰეპატიტი ბ - 3, ჰეპატიტი ც- 21. ლეპტოსპიროზი-8, ჩუტყვავილა-23, ტუბერკულოზი ფილტვის ფორმა-9, ცოფის რისკის ექსპოზიცია -436, ვაქცინაციის კურსი ჩაუტარდა 436 ადამიანს, 2023 წლის განმავლობაში გაიხარჯა 1673 კომპლექტი ანტირაბიული ვაქცინა.

ყოველი წლის სექტემბრის თვეში ხდება სეზონურ გრიპზე ასაცრელი კონტიგენტის დაზუსტება პრიორიტეტების მიხედვით. 2023 წლის განმავლობაში გრიპზე აიცრა 1816 პირი. მათ შორის შაქრიანი დიაბეტით დაავადებულები-354, შშმპ ბენეფიციარები და მათი მომვლელი პერსონალი 85, სამედიცინო პერსონალი 119, დიალიზზე მყოფი-19 ადამიანი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგები-178, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პერსონალი -125, ხანდაზმული პირები-850, სხვა კონტიგენტი-84.

სეზონის დაწყებამდე მოხდა ზემოთ აღნიშნული კონტიგენტის ვაქცინაცია გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინით.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური ცენტრი ახორციელებს ინტეგრირებული სკრინინგის მუნიციპალურ პროგრამას, რაც ითვალისწინებს 18 წლიდან მოსახლეობის გამოკვლევას ც ჰეპატიტზე და პაციენტების ჩართვას შემდგომ უფასო მკურნალობაში. 11 თვის მონაცემებით სკრინინგი ჩაუტარდა 1148 ადამიანს. გამოვლენილი დადებითი შემთხვევები გადამისამართდა კონფირმაციული კვლევებისათვის და პაციენტებმა დაიწყეს მკურნალობა.

- ✓ **ა(ა)იპ ,,თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი**

ა (ა) ი. პ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის საბავშვო ბაგა-ბაღებში განხორციელებული პროგრამის ფარგლებში დირექცია, აღმზრდელ-პედაგოგები და მათი დამხმარეები ცდილობენ ბავშვის ინდივიდუალურ ინტერესებზე დაყრდნობით და მათი საჭიროებების დაკმაყოფილებით **- ბავშვი იყოს დამოუკიდებელი და ბედნიერი.**

მიმდინარე წელი გამოწვევაა საქართველოში სკოლამდელი განათლების მიმართულებით. კერძოდ „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გარდამავალ პერიოდში, 2030 წლის 1 იანვრამდე უნდა განხორცილდეს საბავშვო ბაგა-ბაღების ეტაპობრივი ავტორიზაცია. დაწყებულია თვითშეფასების პროცესი. მიმდინარე წლის ივლისის თვეში ჩვენი მუნიციპალიტეტის 26 საბავშვო ბაგა-ბაღმა (10 საბავშვო ბაღი სექტემბრის თვეში გაივლის) გაიარა თვითშეფასება. თვითშეფასების კითხვარი შედგენილი სტანდარტების მიხედვით, დასრულებული სახით გადაეგზავნა ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, რომელიც საფუძვლად დაედება ავტორიზაციის გავლის განრიგს 2029 წლის ბოლომდე.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდის განათლების სისტემის დაფინანსება უზრუნველყოფს სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობას. ყოველწლიურად იზრდება სკოლამდელ განათლებაზე გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხვედრითი წილი მთლიან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტთან მიმართებაში.

თერჯოლის #3 საბავშვო ბაგა-ბაღმა ახალმოსახლეობა იზეიმა თანამედროვე სტანდარტებით აშენებულ ძალიან ლამაზ შენობაში. საბავშვო ბაგა-ბაღის ყველა სივრცითი ფართი აღჭურვილია შესაბამისი საბავშვო და ორგანიზაციული მართვისთვის საჭირო ინვენტარით. აღნიშნული ბაღის მშენებლობა საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა და მისმა ღირებულებამ შეადგინა 2 362 105 ლარი, 200 000 ლარი კი დაიხარჯა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღსაჭურვად.

,,მუნიციპალური ცენტრი“-ს დაქვემდებარებაში მყოფი 26 საბავშვო ბაგა-ბაღიდან 8 არის თანამედროვე სტანდარტების მიხედვით აშენებული და აღჭურვილი (თუზის, ახალთერჯოლის, ნაგარევის, ზდ.ალისუბნის, 26 მაისის, გოგნი, საზანოს და ქ. თერჯოლის #3 ბაგა-ბაღი). მიმდინარეობს ძევრის საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა, რომელიც ფუნქციონირებას შეუდგება 2025 წლის იანვრიდან. 17 საბავშვო ბაგა-ბაღი არის ნაწილობრივ რეაბილიტირებული. მთლიანად რეაბილიტირებულია ყველა საბავშვო ბაგა-ბაღის სამზარეულოები, სასაწყობო ფართები და სველი წერტილები.

საბავშვო ბაგა-ბაღების მართვას ახორციელებს ,,მუნიციპალურ ცენტრში“ დასაქმებული 13 ადამიანი, ხოლო საბავშვო ბაგა-ბაღებში ორგანიზაციულ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს წარმართავს 510 ფიზიკური პირი. ,,მუნიციპალური ცენტრის“ სახელფასო ფონდის ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 127 000 ლარი, ხოლო ფილიალების სახელფასო ფონდის ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 3 218 586 ლარი.

,,მუნიციპალური ცენტრი“-სა და ცენტრის ფილიალების 2023 წლის დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა - 4 741 000 ლარი; ფაქტიურმა ხარჯმა კი შეადგინა 4 618 460 ლარი; მათ შორის საბავშვო ბაგა ბაღების ფაქტიურმა ხარჯმა -4 480 623 ლარი.

26 საბავშვო ბაგა-ბაღიდან 7 საბავშვო ბაგა-ბაღში არის ცენტრალური გათბობის სისტემა, ხოლო დანარჩენი ბაღების მომარაგება მიმდინარეობს ამჟამად სათბობი საშეშე მასალით.

,,მუნიციპალურმა ცენტრმა“ 2023 წლიდან დღემდე განახორციელა 105 ტენდერი მათ შორის: 62 გამარტივებული შესყიდვა, 8 კონსოლიდირებული ტენდერი, 30 ელექტრონული ტენდერი, 3 გადაუდებელი შესყიდვა და 90 ხელშეკრულება მომსახურეობის შესახებ.

საბავშვო ბაგა-ბაღებში ბავშვის ჰოლისტური ანუ მთლიანობითი განვითარება შესაბამისი გარემოს შექმნითა და საგანმანათლებლო რესურსების შეთავაზევით მიიღქევა, აქედან გამომდინარე პრიორიტეტად გვაქვს დასახული ადგილობრივ ბიუჯეტში მნიშვნელოვნად გაიზარდოს სკოლამდელი განათლების მიმართულებით გაწეული ხარჯების ხვედრითი წილი.

მნიშვნელოვანია, რომ გარემო სთავაზობდეს მრავალფეროვან რესურსს, მასალებს, რომლებზეც ბავშვს სრული ხელმისაწვდომობა ექნება.

ადრეული და სკოლამდელი განათლების საფეხურზე ბავშვის გარემო საინტერესო და თავგადასავლებით აღსავსე უნდა იყოს.

ა(ა) იპ „ თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახური

ა(ა) იპ „ თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახურმა გარკვეული მუშაობა გასწია 2023 წელში შტატით მომუშავე **124** ერთეულის და შტატგარეშე მომუშავე **26** ერთეული პერსონალით.

2023 წელში პროგრამული ბიუჯეტი დაგეგმილია - 3 615 000 ლარი, შესრულებაა 3 262 345 ლარი. აქედან 11 თვეში გაწეული იქნა ხარჯები:

შრომის ანაზღაურება სულ – 1 021 600 ლარი, აქედან **ხელფასი-** 927 420 ლარი, **ჯილდო-**0 ლარი; **დანამატი** საკუთარი შემოსავლიდან 94 180 ლარი; **შტატგარეშე შრომის ანაზღაურება-** 190 377 ლარი; **ხელფასი** -188 277 ლარი , ჯილდო 0 ლარი; **დანამატი საკუთარი შემოსავლიდან** - 2100 ლარი; **მივლინება** 3 372ლარი, **საკანცელარიო** -5 217 ლარი, **კატრიჯების დატუმბვა** – 2 937ლარი, **ტექნიკა-ინვენტარის** 2 287ლარი, **ელსაქონელი ხარჯი** – 110 500 ლარი, **წყლის ხარჯი** – 3 086 ლარი, **ნაგვის ყუთების შეძენა** 2 520 ლარი, **სამეურნეო ხარჯი** – 51 873 ლარი, **სანიტარული საქონელი**-44 522ლარი, **კავშირგაბმულობის ხარჯი**—4 587ლარი, **ელ. ენერგიის ხარჯი** -130 230 ლარი, **საფოსტო ხარჯი** -488 ლარი, **ჯპს მომსახურეობა** -169 ლარი, **სამედიცინო ხარჯი** -0 ლარი, **უნიფორმის შეძენა** – 3 853 ლარი, **საწვავის ხარჯი-** 417 898 ლარი, **ა/ მანქანის რემონტის ხარჯი-** 345 858 ლარი, **ტრანსპორტის დაქირავება-** 480 000ლარი, **ტრანსპორტის დაზღვევა**-14 090ლარი, **მასალები და მარაგები-** 257 325 ლარი, **სატენდერო განცხადებების გამოქვეყნება** – 3 600 ლარი, **მაწანწალა ძაღლების გარიდება** – 2 0160ლარი. **სოციალური დახმარება/ ბიულეტენი/-** 3 776 ლარი, **ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი**-7 596ლარი, **გათოვლითი სამუშაოების**-79 800 ლარი , **ექსპერტიზის და ლიცენზიის ხარჯი**-1 730 ლარი, **საბუღალტო პროგრამის** -4 000 ლარი, **დეზ განყოფილების** ხარჯი-0 ლარი, **საახალწლო განათებების** -36 000 ლარი, **შხამქიმიკატების ხარჯი** -3 085 ლარი, **სხვა** **დანარჩენი მომსახურეობა** -3 1570 ლარი. **კაპიტალური ხარჯი-** 10 7565 ლარი, **მათ შორის მანქანა დანადგარები** 57 175 ლარი, **მანქანის შეძენა**-27 490 ლარი. **ხიდების აღსადგენად ხის მასალები/ ფიცარი/** -11 800 ლარი. **წყალგაყვანილობის პროექტი-** 4 900.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარდა და კვლავ მიმდინარეობს კეთილმოწყობის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები:

კერძოდ:

- სამსახურის მიერ შეძენილი მასალებით საქმიან ეზოში დამზადდა გარე განათების ბოძი 150 ცალი, რომლებიც განთავსებული იქნა სხვადასხვა სოფლებში, ხოლო განათების ახალი 355 ცალი

თანამედროვე სანათი განთავსებული იქნა ქალაქის ტერიტორიაზე. ქალაქის ტერიტორიაზე შეცვლილი ძველი სანათები , აგრეთვე საჩუქრად მიღებული მეორადი სანათები განთავსდა სხვადასხვა სოფლებში, რომლების მონტაჟზე, აგრეთვე ძველი დაზიანებული ქსელის შეცვლაზე გახარჯულია სხვადასახვა ელექტრო მასალები და კაბელები -24 800 მეტრი.

- 2023 წელში შეძენილი 201 ცალი სანიაღვრე, სამსახურის მიერ საქმიან ეზოში დამზადებული -40 მეტრი ცხაური, მგზავრთა 6 ცალი მოსაცდელი, აგრეთვე მუნიციპალიტეტის მიერ გადმოცემული სხვადასხვა მეორადი მასალა და სახურავი განაწილებული იქნა მუნიციპალიტეტის სოფლებში, ასევე შეკეთებული იქნა დაზიანებული- 87 მეტრი ცხაური.
- მოსახლეობის მოთხოვნით სხვადასხვა სოფლებში განხორციელდა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების, კერძოდ: ფანჩატურის მოწყობა. სარემონტო და სამღებრო სამუშაოები ჩაუტარდა სპორტულ მოედნებისა და სკვერებიში არსებულ ძელსამებს. ქალაქის ტერიტორიაზე სკვერებში დაირგო მწვანე ნარგავები და ვარდები.
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეკეთებული იქნა ხიდ - ბოგირები, კერძოდ: გოდოგანში - 2, ბარდუბანი- 4, სიქთარვა 1, კვახჭირი 1, ზ/ სიმონეთი 1, თუზი 1 ,ალისუბანი 1, ძევრი 3 ,სანიაღვრე არხი გაიჭრა- 28 000 გრ. მ ,პოლიეთილენის მილების ჩასაწყობად ნიადაგი მოეწყო -2 970 გრ.მ -ზე, გზა დაპროფილდა -31 9530 გრ. მ.
- **შეძენილი იქნა სულ -2550 პაჭკა 50 კგ-იანი ცემენტი და ქვიშა / შერეული / 450 მ³, რომლებიც**

გაიხარჯა სხვადასხვა სამუშაოებზე და განაწილებული იქნა მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში:

	სოფლის დასახელება	**ცალი**	**ცემენტი**	**შერეული- მ³**
1	კვახჭირი	ცალი	7	6
2	გოდოგანი	ცალი	215	21
3	ნახშირღელე	ცალი	6	5
4	ჭოგნარი	ცალი	12	7
5	ბარდუბანი	ცალი	271	27
6	ქვ.სიმონეთი	ცალი	259	14
7	სიქთარვა	ცალი	13	8
8	ეწერი	ცალი	13	7
9	ზდ.სიმონეთი	ცალი	90	17
10	ძევრი	ცალი	426	43
11	გოგნი	ცალი	50	12

12	ჩხარი	ცალი	103	20
13	ახალთერჯოლა	ცალი	129	33
14	რუფოთი	ცალი	200	58
15	ღვანკითი	ცალი	136	29
16	ალისუბანი	ცალი	94	18
17	საზანო	ცალი	173	41
18	თუზი	ცალი	70	14
19	თერჯოლა	ცალი	283	70
	სულ		2550	450

- მოეწყო ბავშვთა გასართობი ატრაქციონები: ალისუბანში, ძევრში, ბარდუბანში და ღვანკითში. ზამთრის სეზონის დაწყებასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ გაჭირვებულ ოჯახებისათვის მომარაგდა და ტრანსპორტირება გაუკეთდა 68 m^3 საშეშე მერქანს.
- **სამსახურის მიერ ალისუბნის კარიერიდან 2023 წელში მოპოვებული ბუნებრივი რესურსი კირქვა ღორღი - 14 227 m^3 შეტანილი იქნა მუნიციპალიტეტის სოფლებში კერძოდ:**

№	დასახელება	კირქვა ღორღი
		კბ/მ
1	ჭოგნარი	481
2	ჩხარი	590
3	ნახშირღელე	500
4	ახალთერჯოლა	640
5	კვახჭირი	482
6	ქვ.სიმონეთი	521
7	გოდოგანი	498
8	საზანო	739
9	ალისუბანი	1853
10	სიქთარვა	555

11	რუფოთი	1212
12	თუზი	705
13	ღვანკითი	884
14	ბარდუბანი	793
15	ეწერი	645
16	გოგნი	592
17	ძევრი	591
18	თერჯოლა	1458
19	ზდ.სიმონეთი	488
20	გრუნტის გატანა კირქვა	0
	სულ	14227

აგრეთვე მუნიციპალიტეტის სოფლების საჯარო სკოლების და ბაგა ბაღების მიმდინარე ტერიტორიაზე მოწყობილი იქნა სიჩქარის შემზღუდველი ბარიერები, კერძოდ:

№	**დასახელება**	**ბარიერი**	
		რაოდენობა	
1	ჭოგნარი	გრ. მ	4
2	ჩხარი	გრ. მ	21
3	ნახშირღელე	გრ. მ	25
4	ახალთერჯოლა	გრ. მ	0
5	კვახჭირი	გრ. მ	00
6	ქვ.სიმონეთი	გრ. მ	22
7	გოდოგანი	გრ. მ	20
8	საზანო	გრ. მ	13,2
9	ალისუბანი	გრ. მ	19,1
10	სიქთარვა	გრ. მ	12,5

11	რუფოთი	გრ. მ	0
12	თუზი	გრ. მ	16,6
13	ღვანკითი	გრ. მ	17,6
14	ბარდუბანი	გრ. მ	4,5
15	ეწერი	გრ. მ	0
16	გოგნი	გრ. მ	10,7
17	ძევრი	გრ. მ	9
18	თერჯოლა	გრ. მ	20
19	ზდ.სიმონეთი	გრ.მ	8
20	ჭოგნარი	გრ. მ	16,5

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის უკეთ წყალმომარაგებისათვის და გამართული მუშაობისათვის 2023 წელში შეძენილი 66 040 ლარის სხვადასხვა მასალებიდან გახარჯული იქნა- 42 460 ლარის მასალები.

ტექნიკური წყალი მიეწოდება მოსახლეობის შემდეგ სოფლებს: **გოდოგნის-** 235 ოჯახს, **ჭოგნარის-**522ოჯახს , **კვახჭირის**-388 ოჯახს, **სიქთარვი**ს-617ოჯახს, **ზედა სიმონეთის** -745 ოჯახს, **ბარდუბნის**-895 ოჯახს, **ღვანკითის**- 759 ოჯახს, **ალისუბნის-**354 ოჯახს, **ძევრი**ს-356 ოჯახს, **ჩხარის**-391 ოჯახს, **გოგნის-**46 ოჯახს, **საზანოს** -150 ოჯახს. **სულ 5458 ოჯახს.** აქედან, გამრიცხველიანებულია- 4161 აბონენტი, საიდანაც გახარჯული იქნა -297 100 მ^3 ტექნიკური წყალი, შემოსულია წყლის ხარჯის ღირებულება -114 200 ლარი, დავალიანება შეადგენს-63 745 ლარს.

ყოველდღიურად მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან **საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება-გატანა,** სკვერების, გაზონების, ადმინისტრაციული შენობების დასუფთავება, რომლის გატანას ემსახურება სამსახურის 6 -ერთეული სპეცტექნიკა. 2023 წელში გატანილი იქნა 6 804 950 კგ საყოფაცხოვრებო ნარჩენი. გაფორმებულია საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ხელშეკრულება- 290 აბონენტთან,საიდანაც დასუფთავების მოსაკრებელი 2023 წელში შემოსულია 98 503 ლარი.

2023 წელში გაფორმებულია 248 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვებზე, 57 ელექტრონული ტენდერი - 1 232 980 ლარის, მათ შორის კონსოლიდირებილი ტენდერი -5.

2023 წელში შემოსული -336 სხვადასხვა კორესპოდენციიდან შესრულებულია 295, გასულია კორესპოდენცია- 209, სამსახურეობრივი ბრძანებაა- 86, დანიშვნა -განთავისუფლებაზე-15, შვებულებებზე- 106, შემოსულია განცხადებები-121, მოხსენებითი ბარათი-29.

- ✓ **ა (ა) ი პ სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულება თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრი**

ა(ა)იპ სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულება - თერჯოლის მოსწავლე - ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრი ემსახურება მომავალი თაობის აღზრდას, მათი თავისუფალი დროის სწორად, მიზანმიმართულად დაგეგმვას, ცოდნის შეძენას და პრაქტიკაში გამოყენებას.

ცენტრი არის არაფორმალური, საგანმანათლებლო, მრავალპროფილური დაწესებულება, ეფუძნება 2020-2030 წლებისათვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციას, ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობისა და გარემოს დაცვის პრინციპებს.

- ✓ **,,ცენტრს"** აქვს მისია, მიზანი, ხედვა, სტრატეგიული გეგმა, გრძელვადიანი და საშუალოვადიანი ამოცანები.
- ✓ **მისია** - არაფორმალური, სკოლისგარეშე სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის უწყვეტი საგანმანათლებლო სისტემის შექმნის ხელშეწყობა.
- ✓ **მიზანი** - ჯანსაღი ფასეულობების, შრომისუნარიანობის, განათლებული , საღად მოაზროვნე თაობების ხელშეწყობა.
- ✓ **ხედვა -** მიღებული განათლების ხარისხი სრულად პასუხობდეს ეროვნული და საერთაშორისო მოთხოვნებს.

ცენტრის საქმიანობა ღია, გამჭირვალე და ხელმისაწვდომია, მუშაობს ,,ცენტრის'' fb-გვერდი, სადაც მუდმივად მიეწოდება საზოგადოებას, დაინტერესებულ პირებს ინფორმაცია მიმდინარე მუშაობის, აქტივობების, ღონისძიებების და სხვა სიახლეების.

,,ცენტრი" მუშაობს გუნდურად, დელეგირების პრინციპით, ,,ცენტრი" არის ნოვატორი, სიახლეების მაძიებელი, იგი ფეხს უწყობს ან წინ უსწრებს მოვლენებს, ცენტრის პოზიცია, იმიჯი, საქმიანობა, ცნობადი და მისაღებია, როგორც საზოგადოების, ისე სამთავრობო და არასამთავრობო სექტორისათვის.

2023 წლის ცენტრის პროგრამული ბიუჯეტი და პრიორიტეტები გათვლილი იყო შედეგზე, დროზე, გაზომვადი ინდიკატორებით, შესაბამის კონკრეტულ სასწავლო-შემოქმედებით ქვეპროგრამებთან, სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებსა და აქტივობებთან. რაც მოსწავლე-ახალგაზრდობას შესაძლებლობას აძლევს, მოახდინოს საკუთარი პოტენციალის რეალიზება, მიიღოს ცოდნა სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.

2023 წლის სექტემბრიდან გაიხსნა 4 ახალი კლუბი და 1 წრე: რობოტექნიკის კლუბი, მკითხველთა კლუბი, ფოტო-ვიდეო გადაღების შემსწავლელი კლუბი, ტელე-კინო-ჟურნალისტთა კლუბი, ხელოვნებისა და კულტურის შემსწავლელი წრე.

პროგრამული ბიუჯეტიდან გამომდინარე და ცენტრის მიზნების მისაღწევად ცენტრში განსაზღვრულია 4 სტრატეგიული პრიორიტეტი, რომელიც მოიცავს 26 ქვეპროგრამას, რომელიც სრულად ეფუძვნება გაეროს მდგრადი განვითარების 17 მიზანს.

პრიორიტეტების და ქვეპროგრამების განხორციელებაზე პასუხისმგებელია დირექცია, ადმინისტრაცია, პედაგოგ-კოორდინატორები და თანამშრომლები.

I პრიორიტეტი

საზოგადოებრივ ცხოვრებასა და დემოკრატიულ პროცესებში ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობის, სამოქალაქო პასუსხმგებლობის და ინტელექტუალური ცოდნის ამაღლების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამა 11 კლუბი, 1წრე:

პრიორიტეტი ეფუძვნება გაეროს მდგრადი განვითარების მე-16 მიზანს. კლუბების საქმიანობები ქვეპროგრამების მიხედვით თავისი შინაარსითა და თემატიკით სრულიად შეესაბამება აღნიშნულ პრიორიტეტს. ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება დამოკიდებულია მაღალი თვითშეგნების და ინტელექტის მქონე პიროვნებების აქტიურობაზე. პროექტების მართვა და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობა, ინოვაციების წამოწყება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება მომავალი თაობის ღირსეულად აღზრდას ისახავს მიზნად.

I პრიორიტეტის 11 კლუბსა და 1 წრეში რეგისტრირებულია -218 მოსწავლე, 2023 წლის 5 დეკემბრამდე ჩატარდა 62 სხვადასხვა ტიპის აქტივობა.

II პრიორიტეტი

ახალგაზრდების განვითარებისა და მათი პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობის განვითარების, სკოლიდან სამუშაოზე გადასვლის პროცესის, მეწარმეობისა და ბიოლოგიური გარემოს დაცვის, თვითდასაქმების, ერთიანი ეკოსისტემის შესახებ ხედვის ჩამოყალიბების ხელშეწყობა. - 8 ქვეპროგრამა.

ეს სტრატეგიული მიმართულება ესადაგება მდგრადი განვითარების მე-4 და მე-15 მიზანს. კლუბების სამოქმედო გეგმა - ქვეპროგრამები თეორიული და პრაქტიკული ასპექტებით ემსახურება სოფლის მეურნეობისა და მეწარმეობის განვითარებისათვის საჭირო საბაზისო ცოდნის შეძენას, საჭირო უნარ- ჩვევების ჩამოყალიბებას, გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას, სასკოლო ასაკიდანვე შრომისადმი დადებითად მიდგომას, რაც შრომის მოყვარეობისადმი პოზიტიურ დამოკიდებულებას, სასკოლო ცხოვრების დამთავრების შემდეგ საზოგადოებაში ღირსეული ადგილის დამკვიდრებას, პატრიოტული განცდების გაძლიერებას ემსახურება.

მეორე პრიორიტეტში რეგისტრირებულია -137 მოსწავლე , 5 დეკემბრის ჩათვლით ჩატარდა 16 სხვადასხვა ტიპის აქტივობა, პრიორიტეტში განსაზღვრულმა კლუბებებმა მონაწილეობა მიიღო 4 საერთაშორისო და რესპუბლიკურ კონკურსა და ფესტივალში. პრიორიტეტის კლუბებს დეკემბერში დაგეგმილი აქვთ 4 აქტივობა.

III პრიორიტეტი

ახალგაზრდებისთვის რეკრეაციული ინფრასტრუქტურისა და სერვისების ხელმისაწვდომობის, არამატერიალური კულტურის განვითარების და პოპულარიზაცის ხელშეწყობა. - 6 ქვეპროგრამა.

პრიორიტეტი ესადაგება გაეროს განვითარების მე-3 და მე-4 მიზანს. კლუბები სრულად ემსახურება ქართული კულტურის განვითარებას და პოპულარიზაციას. მოსწავლეების სათანადო მომზადება და ადამიანური რესურსების მართვის სწორი მიმართულებებით გადანაწილება ეროვნული მოტივებისა და ელემენტების შეყვარება, თაობებისადმი გადაცემა ამ პრიორიტეტში შემავალი კლუბების ძირითადი მიზანია და მათ მიერ გაწეული საქმიანობები საზოგადოების მოთხოვნაზეა ორიენტირებული.

კლუბებში რეგისტრირებულია -240 მოსწავლე, 5 დეკემბრის ჩათვლით მე-3 პრიორიტეტის კლუბებმა ჩაატარა 17 სხვადასხვა ტიპის აქტივობა, მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს 3 საერთაშორისო და რესპუბლიკურ კონკურსა და ფესტივალში. დეკემბრის თვეში დაგეგმილია 2 გასვლითი აქტივობა.

IV პრიორიტეტი.

მუნიციპალიტეტების დონეზე, არაფორმალური განათლების მიმართულებით ცენტრის ახალგაზრდული პოლიტიკის სახელმწიფო მართვის სისტემის სრულყოფა, პრიორიტეტების და ქვეპროგრამების შესაბამისობაში მოსწავლე-ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების, თვითრეალიზაციისათვის და საზოგადოებრივ ცხოვრებასა და დემოკრატიულ პროცესებში სრულფასოვანი მონაწილეობისთვის შესაბამისი პირობების შექმნის უზრუნველყოფა.

პრიორიტეტი ესადაგება გაეროს მდგრადი განვითარების მე- 3, 4, 10, 15, 16 მიზანს. ეფუძნება სამართლებრივად განსაზღვრულ დოკუმენტებს, პერსპექტიულ გეგმას და ქვეპროგრამებს.

ცენტრი ემსახურება პირდაპირ და არაპირდაპირ მუნიციპალიტეტის 25 საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეეებს, ასევე სურვილის შემთხვევაში 21 წლამდე ახალგაზრდებს.

2023 წლის მონაცემებით კლუბებსა და წრეებში რეგისტრირებულია 595 მოსწავლე.

,,ცენტრში“ პერპექტიული გეგმისა და ქვეპროგრამების მიხედვით 2023 წლის 5 დეკემბრამდე განხორციელდა 108 სხვადასხვა ტიპის აქტივობა.(საერთაშორისო, მუნიციპალური, საკლუბო, ინტეგრირებული აქტივობები, გამოფენები, კონკურსები, ინტელექტუალური და დებატ თამაშები, არჩევნები, სხდომები, ფილმების ჩვენება-ფასილიტაცია, კონფერენციები, კლუბების შემაჯამებელი აქტივობები, გადაღებულია ფილმი, დაიდგა სპექტაკლი.) დეკემბრის თვეში დაგეგმილია კლუბების შემაჯამებელი 15 აქტივობა და ცენტრის საახალწლო ღონისძიება ,, საახალწლო კარნავალი“.

ცენტრის კლუბები წარმატებულად მონაწილეობს საერთაშორისო და რესპუბლიკურ კონფერენციებში, ფესტივალ-კონკურსებსა და საანგარიშო კონცერტებზე. კლუბების წევრები დაჯილდოვდნენ დიპლომებით, სიგელებით, კოორდინატორებს მიენიჭათ შესაბამის სპეციალობაში ტიტულები.

2023 წელს განხორციელდა პროექტები საჯარო სკოლებთან: ,,აქტიური მოქალაქეები'', ალტერნატიული საქმიანობის პროგრამის ფარგლებში საინფორმაციო-შემეცნებითი შეხვედრები გაიმართა რაიონის 8 საჯარო სკოლაში, დეკემბრის ბოლომდე დაგეგმილია და განსახორციელებელია 2 სკოლაში საინფორმაციო-შემეცნებითი შეხვედრა.

ცენტრში დასაქმებულია 44 ადამიანი. ფლობს ორ შენობას, კოსტავას ქ. N3 და შოთაძის N4, საცდელ-სადემონსტრაციო მიწის ნაკვეთი 5369 მ^2 და სასათბურე მეურნეობა 50 მ^2. ძირითადი აქტივები და მატერიალური აქტივები - 95926 ლარი. ცენტრი ეფუძნება სამართლებრივად განსაზღვრულ დოკუმენტებს, პერსპექტიულ გეგმას და ქვეპროგრამებს.

დასკვნის სახით მინდა გითხრათ რომ, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიისათვის ერთ-ერთი პრიორიტეტი გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და მოქალაქეთა ჩართულობაა. თვეში ორჯერ გამოდის მერიის მიერ დაფინანსებული გაზეთი „თერჯოლა", სადაც მოცემულია მიმდინარე და დასრულებული ინფრასტრუქტურული და სხვა პროექტები, ამავე გაზეთის მეშვეობით ადგილობრივები იღებენ ინფორმაციას მერიის სოციალური პროგრამებისა და სხვა მათთვის საჭირო საკითხების შესახებ. გაზეთის მიზანია ინფორმირებულობა მოსახლეობის იმ სეგმენტისა, რომელსაც არ აქვს წვდომა ელექტრონულ მედიასთან, სოციალურ ქსელებთან. მერიაში მოქმედ ოფიციალურ ფეისბუქ გვერდისა და ვებ გვერდის მეშვეობით მოქალაქეებს შეუძლიათ მიიღონ ნებისმიერი სახის ინფორმაცია.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედებს მოქალაქეთა ჩართულობის ისეთი ფორმა, როგორიცაა „მრჩეველთა საბჭო", რომელიც შეიქმნა და დაკომპლექტდა საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებით.

მინდა ავღნიშნო მერიის თანამშრომელთა დამოკიდებულება და პასუხიმგებლობა უფლებამოსილების განხორციელების მიმართულებით. ამ შემთხვევაში იგულისხმება ყველა მტკივნეული საკითხების მოგვარება, მოსახლეობის მდგომარეობის გათვალისწინება და შემლებისდაგვარად კანონის ფარგლებში დადებითად გადაწყვეტა.

ჩემი, როგორც მუნიციპალიტეტის მერის საქმიანობის ძირითადი მიმართულების გზაა **„წინ ერთად წარმატებისთვის".** საანგარიშო პერიოდში მკვეთრად გამოჩნდა აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების გუნდური პრინციპით მართვის ეფექტურობა. მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს შორის თანამშრომლობის დამკვიდრებული დამოკიდებულება მაქსიმალურად არის მიმართული მუნიციპალიტეტის განვითარებაზე.